გაზეთი ბევრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№1 (896) 20 – 21 იანვარი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## გარდაბნის თბოელექტროსადგური – ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გარანტი!



გვ. 6

200 000 000 დოლარზე მეტი ინვესტიცია და 600 სამუშაო ადგილი საქართველოს მოქალაქეებისთვის

# კეზერაშვილის საქმის ახალი მოწმე და სკანდალური დოკუმენტი

როგორ დაისაკუთრა გოგი შევარდნაძემ პაატა კაჭარავას წართმეული ქონება

გადასახადის გადამხდელის დასახელება:

საიდენტ. კოდი 200000756 ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი

მიმღების დასახელება: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ანგარიში (კრედიტი) 360889898



„საბას" მფლობელი წართმეულ ქონებაზე მორატორიუმის გამოცხადებასა და „მარშეს" მფლობელთა მორალურ პასუხისმგებლობას ითხოვს

გვ. 4



გვ. 5

## „სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს!"

რა საიდუმლოს მალავს ჟვანიას გარდაცვალებაზე მიხეილ მაჭავარიანი



## ლიტერატურული კონკურსი „საბა-2014" დაიწყო

## ვინ უშლის ხელს ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას

გვ. 7

## ეკონომიკური შეთქმულება ღარიბაშვილის წინააღმდეგ



სოლომონ პავლიაშვილი ეჭვობს, რომ ლარის კურსის გაუფასურება ბანკებისა და მსხვილი იმპორტიორების ინტერესშია

გვ. 8



ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

## მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთო

„პროკურატურა, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, ხელისუფლების სუსტ რგოლად იქცა"

გვ. 3



# მაია ნიკოლაიშვილი: „ხამები!.."

დიტო გელოვანი

**უცებ, ტკივილისა და სირცხვილისაგან აბღავლებულმა პატრიციო არაგონესმა ორივე ხელი წაივლო მუცელზე, ღმერთო ჩემო, ჩემო გენერალო, ჩავ...ვი. პრეზიდენტმა გაიფიქრა, ალბათ, გადაკრულად მიმანიშნებს, სიკვდილის წინაშე შიშს ვაღიარებო, მაგრამ პატრისიო არაგონესმა, თითქოს მიუხვდაო, შებღავლა, გადაკრულად კი არა, მართლა ჩავ...ვიო. მაშინ კი შეუძახა პრეზიდენტმა, გემუდარები, მაგას ნუ იზამ, ცოტაც მოითმინე, სამშობლოს გენერლები ასე არ კვდებიანო, მაგრამ უკვე გვიან იყო. პატრიოტული გრძნობებისგან და კუჭისგანაც დაცლილი არაგონესი საკუთარ ცრემლში და განავალში ამოქვარქვნილი უსულოდ დაასკდა იატაკს.**

***(გაბრიელ გარსია მარკესი, „პატრიარქის შემოდგომა“)***

# ვირებიც ტირიან...

ახლახან წაგებული ომის მინისტრი-გენერალი მახსენდება, შეეჩვიე მოგებასო — რომ მირჩევდა, მამუნათებდა, დამკიოდა, დამჩხაოდა და ახლა სადღაც, სამხრეთ საფრანგეთის რომელიღაც ციხეში ზის, ზის, ზის...

ვინც დგას, ვინც ზის და ვინც წევს... ნაგავში გადაგდებული ბრილიანტი, ჩემი ჩუმი ჩანაფიქრი და „არაფრის“ სადღეგრძელო — აი, რომ გკითხავენ, რაზე ფიქრობო და შენ რომ უპასუხებ, არაფერზეო, ამ დროს კი ის არაფერი შენთვის ყველაფერიაო... ამ დროს თამადა შესვენებას გამოაცხადებდა, ვცეკვავდით, ხოლო ის... ხოლო ის ზის, ზის, ზის და „საკუთარი ნიჭით ნაშოვნ მილიარდებს“ ითვლის, ფულს ხომ თვლა უყვარს? ვისაც ფული უყვარს, იმას თვლა განსაკუთრებით ეხერხება და თუ თვლა გეხერხება, ადამიანებსაც უნდა ითვლიდე და წლებსაც, რომლებიც მოდიან, მიდიან და არ ბრუნდებიან.

ეგ აღარ დაბრუნდებაო, „მიმინოში“ რომ არის... მაგრამ ვალიკო დაბრუნდა. ისიც დაბრუნდება, ვინც იქ ზის, საფრანგეთში და თვალოს მერე ადამიანები, რომლებიც ისხდნენ და რომლებიც ახლაც წვანან, თვალოს წლები, რომლებიც დავკარგეთ და ის წლებიც თვალოს, რომლის განმავლობაშიც უნდა თვალოს მილიარდები, რომელთა გამოც მოუწევს ჯდომა.

იმედი მაქვს, ეგრეც იქნება, ჯერ კიდევ მაქვს ამის იმედი.

ბაჩოსთან ჩამსვითო — ოქრუაშვილი იხვეწებოდა, ვანოსთან ჩამსვითო — ბაჩო იხვეწება, კეზერასთან ჩამსვითო — ვინ იცის, რამდენი მოინდომებს და არც ის იცის ვინმემ, იქნებ ზოგიერთმა განგებაც კი ჩაიდინოს დანაშაული იმ იმედით, რომ იქნებ მოხვდეს კეზერასთან ერთ საკანში და სანამ უნიტაზში თავს ჩააყოფინებდეს, უშუალოდ, მისგან მოისმინოს ლექცია თემაზე — „როგორ მოვიპარო მილიარდი“.

„მჯერა, რომ მკურნალიძეზე ზეწოლას არ გამოიძიებენ, ისე, როგორც ვანო მერაბიშვილის მიმართ ზეწოლა ამ დრომდე არ გამოუძიებიათ“, — თქვა გასულ კვირაში ბაჩო ახალაიამ და გული ამიჩუყდა. „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე გაგა მკურნალიძე ხელისუფლებას ზეწოლაში ადანაშაულებს. ამის შესახებ გაგა მკურნალიძის განცხადებაშია აღნიშნული, რომელიც მისმა ადვოკატმა რომეო საჯაიამ ბრიფინგზე წარმოადგინა“, — ამ ნიუსზეც ამიჩუყდა გული და ვატყობ, სიბერე ახლოვდება. გულჩვილი არასოდეს ვყოფილვარ, სხვა დროს ვიტყოდი, აი დარდი-მეთქი, მაგრამ რაც დრო გადის, უფრო და უფრო მეცოდებიან უსამართლოდ დასჯილები, მკაცრი ზეწოლით ქვე-წოლილები...

დროა, ყველაფერს შევეშვა და უფლებადამცველი გავხდე, ენჯეო ჩამოვაყალიბო, რუდუნებით და უანგაროდ ვემსახურო ჩაგრულსა და უპოვარს ასე — „ხუთი არასამთავრობო ორგანიზაცია ვანო მერაბიშვილის მიერ გახმაურებულ ბრალდებებზე „ხელისუფლების მხრიდან არასათანადო რეაგირების გამო“ შეშფოთებას გამოთქვამს. ამის შესახებ ნათქვამია ხუთი არასამთავრობო ორგანიზაციის: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED); საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო (TI-GEORGIA); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); მედიის განვითარების ფონდი (MDF) მიერ გავრცელებულ განცხადებაში“ და ასე — „სასჯელაღსრულების სამინისტროსთან დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა – კოალიცია „საზოგადოებრივმა ინიციატივამ“, „ახალგაზრდა ინიციატორთა კლუბმა“, „დროას“, სამოქალაქო განვითარების საერთაშორისო ქსელის წევრებმა აქცია გამართეს, რომელზეც სასჯელაღსრულების მინისტრის, სოზარ სუბარის გადადგომა მოითხოვეს.

არასამთავრობოები სამინისტროსთან სასტვენებითა და წითელი ბარათებით მივიდნენ, სამინისტროს შესასვლელთან წითელი ბარათები დაყარეს და სასჯელაღსრულების მინისტრის მიმართ პროტესტი გამოხატეს.

აქციაში ასევე მონაწილეობდა ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია“.

როგორც ხედავთ, ჩვენ ძველთაგან არა მხოლოდ ვაჟკაცობა, არამედ სოლიდარობაც მოგვდევს, თურმე. „თურმე“ კი იმიტომ, რომ არ მეგონა და არ ვიცოდი. აბა, გაგიგიათ, რომ ამდენ ენჯეოს ან გირგვლიანზე ეყვირა, ან რობაქიძეზე, ან თეთრაძეზე, ან ფოტოგრაფებზე, ან კოდორზე ან ახალგორზე ან... ან... ან...




საქართველო ანოსია, ყველა ენჯეო ვანოსია, ბაჩოსია, კეზერასია, ქილერასია, წუკლარასია. რაც ცხრა წელიწადში იყვირეს, იმაზე მეტი იყვირეს მხოლოდ ბოლო ორ კვირაში და ეგრე ხომ არ ხდება, რომ ამდენ ხანს დუმდე და შემდეგ, ერთბაშად ამოიღო ხმა? ვიღაცამ პანღური ამოსცხო — გეყოფათ კრიახი, საქმეს მიხედეთო და ერთი ნიუსი მენიშნა — „ტყის ქათამზე ნადირობა 1 მარტამდეა შესაძლებელი. ამასთან დაკავშირებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სამინისტრომ, ექსპერტებსა და მეცნიერთა რეკომენდაციებზე დაყრდნობით, მიიღო გადაწყვეტილება გადამფრენ ფრინველზე — ტყის ქათამზე ნადირობის ვადა 1 მარტამდე გაგრძელდეს“.

და რა მოხდება 1 მარტის შემდეგ? თუ გაფრინდებიან, როგორღა ვინადირებთ და თუ არ გაფრინდებიან, ტყე-ტყე ვიაროთ და საკენკით ვკვებოთ? საერთოდ კი, ეს გადამფრენი ქათმების ინსტიტუტი ძალიან საინტერესო მოვლენაა — გადაფრინდებიან, მოისმენენ სემინარებს, წამოიღებენ სერტიფიკატებს, უკანვე ჩამოფრინდებიან და ამაყად დააბიჯებენ, ყველაფრის უფლება გვაქვს, სადაც გვინდა იქ მოვსკლინტავთ, აგერ დიპლომი და აქვე სერტიფიკატიცო.

აი, გასული კვირის ერთ-ერთი საინტერესო სკლინტიც: „არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს პრემიერ-მინისტრს და იუსტიციის მინისტრს მოუწოდებენ, სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხს“.

იმათ რომ არ მოეწოდებინათ, ამათ არ იცოდნენ, თუ იცოდნენ, მაგრამ არ აპირებდნენ და ახლა, რადგან იმათ მოუწოდეს, ესენი იძულებულები გახდებიან, „სათანადო პასუხისმგებლობით მოეკიდონ ახალი მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხს“.

კითხვა ორია, პასუხი — არც ერთი. ვინ უნდა გასცეს პასუხი — პოლიტიკიდან საზოგადოებრივ სექტორში გადასულებმა თუ საზოგადოებრივი სექტორიდან პოლიტიკაში წასულებმა? კვლავ ორი კითხვა და კვლავ არც ერთი პასუხი. მე, ჩემდათავად, მაინც საზოგადოებრივ სექტორში წასულ პოლიტიკოსებს ვამჯობინებ, რადგან ენჯეოდან პოლიტიკაში გადასკუპებული სულ ორი ვიცი — თამარ კორძაია და ირაკლი სესიაშვილი — და არც ერთ მათგანს არ ვენდობი. დუმან იქ, სადაც უნდა ილაპარაკონ, ლაპარაკობენ იქ, სადაც უნდა ყვიროდნენ და ყვირიან იქ, სადაც უნდა დუმდნენ. მაგალითი? მაგალითი ბევრია, მაგრამ რადგან ეს არის ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში, ამიტომ მაგალითს გასული კვირიდან გაახლებთ: „ოთარ ფარცხალაძის თანამდებობიდან გადადგომა არ მომეწონა, რადგან ვთვლიდი, რომ ძალიან ძლიერი პროკურორი იყო“, — აღნიშნული განცხადება თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი სესიაშვილმა პრესკონფერენციაზე გააკეთა, სადაც ფარცხალაძის საგაზეთო ინტერვიუს გამოეხმაურა“.

სესიაშვილს რომ ჰკითხო, გახმაურებულ საქმეებს ფარცხალაძე სწრაფად და ეფექტურად იძიებდა, რამაც ნაცების შეშფოთება, ნაცების შეშფოთებამ კი ფარცხალაძის გადადგომა გამოიწვია.

არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც გერმანელი ან მოზამბიკელი პოლიციელისთვის თავში წამორტყმას ვინმეს სასიკვდილო ცოდვად უთვლის, მაგრამ როცა ნაცები ღნავიან და ენჯეოები კრიახებენ, ანუ უწმინდურები სიწმინდეებს ახსენებენ და უსაქმურები საქმეს ეძებენ, კეთილი უნდა ინებო და, სალაპარაკო არ უნდა მისცე.

იმ დღეს სოციალურ ქსელში ეწერა, პროკურატურიდან თეთრი კვამლი ჯერ არ ამოსულაო. გვპირდებიან, მომავალ კვირაში ამოვა. იმედი მაქვს, ეს იქნება მართლაც თეთრი კვამლი და არა ნაცრისფერი, რომელიც ზოგისთვის თეთრია და ზოგისთვის შავი. ვინმე შოთაძე, რომელიც, ზოგიერთის ინფორმაციით, ათი წლის წინ პროკურატურის სტაჟიორი იყო, ზოგი კი ირწმუნება, რომ გვიჩიანის საქმეს სწორედ ის იძიებდა... დავუშვათ და, სტაჟიორი იყო... სტაჟიორად დარჩა თუ დააწინაურეს? დააწინაურეს. ალბათ, დაიმსახურა და დააწინაურეს. არ მინდა, ბატონო, ადეიშვილის დაწინაურებულები და, საერთოდაც, გუშინდელ სტაჟიორებს, შემდეგ დაწინაურებულებს ისევ დღევანდელი სტაჟიორი მირჩევნია, რომელსაც ნაცების დროს უკადრებელი არ უკადრია და დაწინაურება არ დაუმსახურებია. ამას ზოგადად ვამბობ, შოთაძე არაფერ შუაშია. ახლა ხომ ასეა — ენჯეოებისგან შექმნიან საკონკურსო კომისიას და კონკურსში იმარჯვებს ის, ვისაც უფრო მეტი დედიმისისა აქვს მირთმეული, ხოლო თუ მირთმეულის რაოდენობა თანაბარია, გამარჯვებულად ის ცხადდება, ვინც უფრო დიდი კოვზით ჭამდა.

„ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილის ზოგიერთ დავალებას, შესაძლოა, მეხუთე სავარაუდო პასუხი დაემატოს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელმა, სოფო დოლიძემ განუცხადა. მისივე განმარტებით, აღნიშნული სიახლე აბიტურიენტის მიერ სწორი პასუხის ბრმად შემოხაზვის ალბათობის შემცირებითაა განპირობებული“, — ამ ნიუსს რომ დავუჯეროთ (მე კი, ძალიან მინდა, რომ მჯეროდეს), ყველაფერი არის კარგად, მაგრამ თუ დავალებას მეხუთე სავარაუდო პასუხი დაემატება, ყველაფერი უფრო კარგად იქნება.

წესით, გამოცდები ასე ტარდება: უნარები-კანონები-გასაუბრება. თავად განათლების სამინისტროში კი, მხოლოდ გასაუბრება ჩატარდა. სამინისტროს ერთი ნაციონალი თანამშრომლისა და რამდენიმე უსაქმური ენჯეოშნიკისგან შედგენილმა კომისიამ ერთ ჩემ ნაცნობს, მოქმედ თანამშრომელს, დაუსვა ერთადერთი კითხვა („წელიწადის რომელი დრო გიყვართ?“ — დაახლოებით ასეთი), მიიღო პასუხი („შემოდგომა“ — ალბათ ასეთი) და კაცი დარჩა უმუშევარი. არც საყვედური, არც გაცდენები, არც კვალიფიკაციის პრობლემა... არ ვიცი, ვინ დაინიშნა მის ადგილას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს იქნებოდა ან ნაციონალების ზონდერი და ანაც მეოცნების ბიძაშვილი, თუმცა მეოცნებეების ისეთი ბიძაშვილებიც ვიცი, ცხრა წელი „მიშა მაგარიას“ რომ ყროყინებდნენ. ვირები...

და აი, მაგარი, მე ვიტყოდი, უძაანმაგრესი ნიუსი: „სოფელ კუმისთან მონადირეებმა ვირების სასაკლაოები აღმოაჩინეს. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, მონადირეები ამბობენ, რომ ამ ადგილას ცხოველებს ფარულად ხოცავენ, ხორცი კი სარეალიზაციო, ძირითადად, თბილისში მიაქვთ. მონადირეების განცხადებით, ხორცი ისე იჭრება, მისი იდენტიფიცირება არ მოხდეს. მათივე მტკიცებით, ძირითადად, ასეთ ხორცს საშაურმეებსა და სახინკლეებში აბარებენ. ადგილობრივების ინფორმაციით, სასაკლაოებზე, ვირის გარდა, ცხენებსაც კლავენ. ვირები კი, ძირითადად, კახეთიდან მიჰყავთ. გლეხების თქმით, ბოლო პერიოდში ვირების ფასიც გაიზარდა“.

ფეხბურთი ტოტალიზატორით ფასობს, სიმღერა — ფონოგრამით, ქალი — სილიკონით, ამ ბოლო დროს, ვირების ფასიც გაიზარდა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, მალე კალიები და ტარაკნებიც დაფასდება — „თბილისის საკრებულოსა და ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-სამრეწველო ქალაქ გუანგჯოუს შორის ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცების მემორანდუმი გაფორმდა. როგორც მხარეებმა განაცხადეს, აღნიშნული მემორანდუმი ჩინურ და ქართულ მხარეებს შორის მჭიდრო ეკონომიკური კავშირების დამყარების საფუძველი გახდება“.

ანუ... სახინკლეში ქუდი რომ შეუგდო, აღარავინ შევა, „მაკდონალდსი“ შხამია, „საბვეი“ — ჩალა... რჩება ჩინური სამზარეულო, სადაც შეგიძლიათ იგემოთ კალიის საცეცები და ტარაკანის შიგნეულობა არაქისის გარნირით. ჩვენი მზარეულები ტარაკანს ვერ შეკმაზავენ და ამ მხრივ, ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას არ უნდა ველოდეთ, სამაგიეროდ, იმედი მაქვს, დასაქმდებიან ქართველი მწერები. ჯერ ერთი, ქართული მწერი არის იაფი და, რაც მთავარია — ეკოლოგიურად სუფთა.

რეებს მიედმოედებიო — მეტყვის ვიღაც. დავასწარი და საკუთარ თავს ეგ უკვე ვუთხარი. მივედმოვედები, კი, ნამდვილად ასეა, ვაღიარებ, მაგრამ იმანაც აღიაროს, კახა რომ ჰქვია და კუკავა რომ არის გვარად — „თავისუფალი საქართველო“ 31 იანვარს თბილისის საკრებულო სხდომაზე თბილისის აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭების საკითხის განხილვას მოითხოვს. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ განცხადებით, აეროპორტისთვის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას ღარიბაშვილის მთავრობა ეწინააღმდეგება. ამის შესახებ პარტიის მიერ განცხადებაშია ნათქვამი“.

წიფის გვირაბს გურამ აბსანძის სახელი რომ მიენიჭოს, არა? თუ არა და — ნუ!!! ისე კი, აეროპორტი სენაკშიც არის და იქნებ ვთხოვოთ თამაზ ტყემალაძეს, გამსახურდიას სახელი მიენიჭოს სენაკის აეროპორტს და გამოცხადდეს თბილისის აეროპორტად.

თავაზიანად რომ ვთქვათ, მეტად უცნაური ხალხია. და ისა... გასულ კვირაში თბილისის ზოოპარკში რომ ზებრა დაიბადა, რომ წამოიზრდება, ვირი ვუწოდოთ და ხინკლად მივირთვათ. არა? საზოგადოებრივ მაუწყებელს თუ ტელევიზია ჰქვია, რა მოხდება, თუ ქუთაისის პარლამენტი იქნება თბილისში, თბილისის აეროპორტი — სენაკში, იქნებ ყატარი დავირქვათ და ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს ვუმასპინძლოთ? მაგარი იქნება, უფრო მაგარი ვიდრე ის, ყაზტრანსგაზის ჯეელებმა „გეგმური შემოწმების დროს“ პრეზიდენტის სასახლეში ბუნებრივი აირის დატაცება რომ აღმოაჩინეს.

აღმოაჩინეს... რამდენიც იცოდნენ, იმდენი მოხვდათ გასულ კვირაში თბილისის ზოოპარკში დაბადებული ზებრისა, ოღონდ, რომ წამოიზრდება — მერე.

ვითომ, არ იცოდნენ... თქვი, შე ჩემ... ჩემპიონო, რაც ხდებოდა, თქვი, რომ ჩაისვარე, ეგეთებს ჩაუსვრიათ? აგერ, დღეს რომ საახოვს აგინებენ, ნახევარზე მეტი სულ ჩასვრილი იყო.

დავკალით ვირები, ვჭამეთ ხინკლებად.

და თუ დავუჯერებთ ხადურს, რომ ლარის კურსი სტაბილურია, დავუჯეროთ საზოგადოებრივ მაუწყებელსაც — ცხოვრება მშვენიერია, „ეტალონი“ კი ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი

**ი.მ. (ისე, მართლა)** იანვრის ერთ საღამოს კი სასახლის აივანზე მართლაც დავინახეთ ძროხა, რომელიც მონუსხულივით შესცქეროდა მზის ჩასვლას. ეს რასა ჰგავს, ეს რა თავისაგდებაა, ეს რა მძღ... ქვეყანაა, ძროხას რა უნდა სამშობლოს აივანზე, ვის მოსწრებია ძროხა კიბეზე ადიჩადიოდეს, თანაც სასახლის თანაც სასახლის ქვის კიბეზე და თანაც ფარდაგდაგებულზე...

***(გაბრიელ გარსია მარკესი, „პატრიარქის შემოდგომა“)***



# „პროკურატურა, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, ხელისუფლების სუსტ რგოლად იქცა“

## მაია ნიკოლაიშვილი: „მმართველი გუნდის რბილ სკამებზე შემოსკუპებულმა წარმომადგენლებმა საზოგადოება დაივიწყეს... ხამები!“

რუსუდან შელია
557-100-768

**„ხამები“ — ასე უწოდებს ექსპერტი მაია ნიკოლაიშვილი იმ ჩინოვნიკებს, რომლებმაც, პოსტებზე დანიშვნისთანავე, ძვირადღირებული ავტომობილები შეიძინეს. ნიკოლაიშვილის თქმითვე, „ქართული ოცნება“ საზოგადოებას გამოეყო და ავტონომიურ რეჟიმში ცხოვრობს.**

— კარგად მახსოვს იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომლებიც დღეს ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, ნაციონალური მოძრაობის პირველ შეცდომებსა თუ მიზანმიმართულ რეპრესიულ ქმედებებზე საზოგადოებას მოთმინებისკენ მოუწოდებდნენ — ვაცადოთ ახალ ხელისუფლებას, პოსტრევოლუციური პერიოდიაო. ისინი მაშინაც ჩუმად იყვნენ, როცა ქუთაისში, სპეცოპერაციისას, გუბერნატორის მითითებით, ახალგაზრდა დაიღუპა; ხმა არც მაშინ ამოუღიათ, როცა კასპში მიმავალ გია ბარამიძეს, სპეცოპერაციისას დახვრეტილი ძმები დაახვედრეს. თავის დროზე, მაისურებითა და ღამისპერანგებით დაკავებული პირების დანახვამაც საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი შეაწუხა, უმრავლესობა კი გაჩუმებული იყო, რასაც, მოგვიანებით, პრემიერ ზურაბ ჟვანიას სიკვდილი, სანდრო გირგვლიანისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელობა მოჰყვა. როცა საზოგადოება გამოფხიზლდა და პროტესტის გამოხატვა დაიწყო, დაგვიანებული იყო, რადგან გაძლიერებულ და ფესვგამდგარ სისტემაში საზოგადოებრივი აზრი აღარავის აინტერესებდა და დასაშინებელიც დაშინებული ჰყავდათ.

**— „ქართული ოცნების“ მიმართაც, თავდაპირველად, დაახლოებით, ასეთივე განწყობა არსებობდა — ერთი წლის განმავლობაში შეცდომები კოჰაბიტაციას ბრალდებოდა...**

— ნაციონალურმა მოძრაობამ რეპრესიული მანქანა მოქალაქეების დასაშინებლად და სამართავად შექმნა, რაც „ქართული ოცნების“ მიზანი სულაც არ არის, თუმცა ფაქტია: მთავრობა და პარლამენტი საზოგადოებას აბსოლუტურად მოსწყდა. მცირე გამონაკლისის გარდა, მმართველი გუნდის რბილ სკამებზე შემოსკუპებულმა წარმომადგენლებმა საზოგადოება დაივიწყეს და კომფორტის მაქსიმალურ შექმნაზე ორიენტირდნენ. ეს კი, მარტივად რომ ვთქვათ, „ხამობაა“. უნახავმა რა ნახაო, ხომ გაგიგიათ?! ზოგჯერ მექმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა ავტონომიურ რეჟიმში, საზოგადოებისგან დამოუკიდებლად ცხოვრობს.

**— ქალბატონო მაია, ვიდრე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ხელისუფლებას ჩაიბარებდნენ, ოპოზიციაში ყოფნისას, ნაციონალურ მოძრაობას სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ფლანგვის გამო აკრიტიკებდნენ. იგივეს ახლა თვითონ რატომ აკეთებენ?**

— კოალიცია „ქართული ოცნება“ სწრაფად ჩამოყალიბდა და მასში ისეთი ადამიანები გაერთიანდნენ, რომელთათვისაც პრიორიტეტს მხოლოდ ფუფუნება წარმოადგენს. კარგად მახსოვს, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შემოვიდა, ბევრი ამბობდა, „ქართულ ოცნებას“ დროულად შევუერთდეთ, თორემ მერე გვიან იქნება, გადასანაწილებელი აღარაფერი დარჩებაო. დღეს ასეთი ადამიანები თანამდებობებზე არიან და ეს თანამდებობები მათთვის ოცნების ზენიტი აღმოჩნდა.

მესმის, რომ ექსტრემალურ ვითარებაში ადამიანს აუცილებელზე მეტ ფულს უხდიან, მაგრამ იმ პერიოდმა ხომ დიდი ხანია გაიარა?! ზოგი მინისტრი გახდა, ზოგიც მინისტრის მოადგილე, რასაც თავიანთი ჭკუითა და განათლებით ვერასოდეს მიაღწევდნენ, ახლა დროა, პასუხისმგებლობაც იგრძნონ, ხოლო მათ, ვინც ეს ვერ გაითავისა, კოლეგებმა ხელი კი არ უნდა დააფარონ, სათანადოდ უნდა დასაჯონ. ნებისმიერ მსგავს საკითხზე რეაგირება უმოკლეს დროში უნდა მოხდეს. მაგალითად, ვანო მერაბიშვილის განცხადება პროკურატურას დაუყოვნებლივ უნდა გადაემოწმებინა და საზოგადოებისთვის ფაქტობრივი მასალაც წარედგინა. მიუხედავად იმისა, რომ მერაბიშვილის საქმიანობისადმი ჩემი განწყობა ცალსახად უარყოფითია, მის სკანდალურ განცხადებაზე მოკვლევა აუცილებელი იყო, ამ საკითხის საეჭვოდ დატოვება კი ხელისუფლების სერიოზული შეცდომაა. საზოგადოება უნდა დარწმუნებულიყო, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი იტყუებოდა, რაშიც სამწუხაროდ, დღეს ბევრს ეჭვი ეპარება. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, პროკურატურის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს.

**— ვანო მერაბიშვილის განცხადების მთავარი გმირი ოთარ ფარცხალაძე მთავარი პროკურორი აღარაა. ისე, ქალბატონო მაია, როგორ ფიქრობთ, ნასამართლეობის დამალვის გამო, ფარცხალაძე ადეკვატურად დაისაჯა?**

— ზოგადად, თუ ადამიანი ნასამართლევია, ეს არ ნიშნავს, რომ მისთვის მთელი ცხოვრება დასრულდა, თუმცა აბსოლუტურად გაუმართლებელია, როცა ეს მთავარი პროკურორის შემთხვევაში ხდება, მით უმეტეს, როცა არგუმენტად გვესმის, რომ დანაშაულის ჩადენისას, ოთარ ფარცხალაძე 24 წლის ბავშვი იყო. 24 წლის კაცი ბავშვი არ არის და ამ ასაკში თავს მაინც ბავშვად თუ მიიჩნევს, ეს ნიშნავს, რომ მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეფერხებები იყო და სამედიცინო გამოკვლევა სჭირდება. პრემიერ-მინისტრი ხომ 31 წლისაა — გამოდის, მთავრობას ბავშვზე ოდნავ უფროსი პირი ხელმძღვანელობს?! ოთარ ფარცხალაძის თანამდებობაზე დანიშვნა ღარიბაშვილის ერთ-ერთი მძიმეწონიანი შეცდომა იყო. დაუშვებელია, მოუმზადებელ და დაუბალანსებელ პროკურატურაში, სადაც ერთი წლის განმავლობაში არჩილ კბილაშვილი ვერაფერს გახდა, უცხო ორგანიზმი მიიყვანო, მით უმეტეს, ისეთი ადამიანი, რომელმაც პროკურატურის საქმიანობის შესახებ არაფერი იცის. ოთარ ფარცხალაძემ ისიც განაცხადა, მეთერთმეტე კლასი „მაჩუქეს“ და უნივერსიტეტში ჩავირიცხეო.... მეც და ჩემმა შვილებმაც განათლება თბილისში მივიღეთ, მაგრამ მსგავსი პრეცედენტის შესახებ პირველად გავიგე, თანაც ერთი თვის განმავლობაში ფარცხალაძემ იმაზე მეტი ბერკეტი აილო, ვიდრე ორ ხელში დაეტეოდა — პროკურატურის სამართავად რეპრესიული მიმართულება აირჩია! მისი პირველივე გადაწყვეტილებიდან ჩანდა, რომ ელემენტარული იურიდიული განათლება არ ჰქონდა და ასეთი დამოკიდებულება ქვედა რგოლებსაც დაეტყო. ისიც აბსოლუტურად გაუმართლებელია, რომ პროკურატურას დღემდე ხელმძღვანელი არ ჰყავს — მთავარი პროკურორის არარსებობის გამო, ყველა პროცესი შეჩერებულია.

**— თუმცა პროკურატურამ რამდენიმე დღის წინ ბაჩო ახალაიას ბრალი დაუმძიმა...**

— ეს მხოლოდ ნიშანი იყო — ცოცხლები ვართ და ვარსებობთო. ბრალი დაუმძიმდა, თორემ, ვინმეს წიწილებიანი კრუხი არ დაუფრთხონ! სამწუხაროდ, დღევანდელი პროკურატურა უუნაროა — წარდგენილი ბრალის ბოლომდე გატანასა და დამტკიცებას ვერ ახერხებს, რაც იმის შედეგია, რომ უწყებაში აბსოლუტურად არაკომპეტენტური პირები მუშაობენ. დაინტერესების შემთხვევაში, შემიძლია, კონკრეტული საქმეები დავდო, სადაც პროკურორების არაპროფესიონალიზმი ნათლად იკვეთება.

**— ისიც არაპროფესიონალიზმის შედეგია, რომ პროკურატურა მოწმის დაცვას ვერ ახერხებს? ბაჩო ახალაიას საქმეში ერთ-ერთმა მოწმემ, ჯოლოხავამ ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა...**

— მოწმის ჩვენებაზე საქმის აგება, რა თქმა უნდა, ყოველთვის წამგებიანია, რადგან მოწმემ სასამართლო პროცესზე, შეიძლება, სულ სხვა ჩვენება მისცეს. საქმის გამყარება ნივთმტკიცებებით ხდება, რომლის შეცვლა შეუძლებელია. მაგალითად, თუ არ გაქვს დანა, რომელიც ბაჩო ახალაიამ ჯარისკაცს ჩაარტყა, ამ ბრალდებას თავი უნდა დაანებო და სხვა, მყარი არგუმენტი მოძებნო, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი საქმეები ყოველთვის დაინგრევა.

**— კანონის მიხედვით, ჩვენების შეცვლა ხომ დასჯადია, რატომ არ აგეს პასუხი იმ მოწმეებმა, რომლებმაც გამოძიება შეცდომაში რამდენჯერმე შეიყვანეს?**

— მოწმეების დასჯაზე უპრიანი იმ პროკურორების დასჯა იქნებოდა, რომელთა საქმეებიც პანტაპუნტით, ბამბის შენობასავით ინგრევა. მსგავსი ფაქტები ან საბოტაჟის მანიშნებელია, ან უცოდინრობის შედეგი. პროკურატურამ უნდა გააანალიზოს, რამდენჯერმე რატომ დაენგრა ბაჩო ახალაიას საქმე. ხარვეზების გამოსასწორებლად აუცილებელია, პროკურატურა შიგნიდან გაჯანსაღდეს. მოწმის დასჯით კი სააკაშვილის მსგავს რეპრესიულ მმართველობას მიიღებ. საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა პრინციპი — აღიარება მტკიცებულებათა დედოფალიაო, თუმცა ჩვენ ხომ საბჭოთა კავშირიდან გამოვედით?! ამიტომ საქმეში ნივთიერი მტკიცებულებების წილი მეტი უნდა იყოს. პროკურატურაც მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაძლიერდება.

**— პროკურატურის გაჯანსაღების პროცესს ხელისუფლება კადრების გათავისუფლებაში ხედავს. თქვენი აზრით, ეს მიდგომა სისტემის გამართული მუშაობის გარანტი იქნება?**

— ეს მიდგომა ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, პროფესიონალ და გამოცდილ კადრებზე მხოლოდ იმ მიზეზით აცხადებენ უარს, კომპიუტერი არ იციანო. არსებული პროკურორები კი საქმეებს საერთოდ არ კითხულობენ. არაერთხელ მქონია შემთხვევა, როცა პროკურორმა საქმეში არსებული მასალის შესახებ მნიშვნელოვანი დეტალები სასამართლოზე შეიტყო. სამწუხაროდ, დღეს საკმაოდ მნიშვნელოვანი უწყების იმიჯი მკვეთრად დაბალია და, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, ხელისუფლების სუსტ რგოლად იქცა. სხვათა შორის, თეა წულუკიანისადმი საზოგადოებას, მათ შორის მეც, დიდი მოლოდინი გვქონდა. გვეგონა, უწყებაში სისტემურ ცვლილებებს განახორციელებდა, განსაკუთრებით საპროცესო კანონმდებლობის მიმართულებით, თუმცა მხოლოდ კოსმეტიკურ ცვლილებებზე დაგვთანხმდა, ისიც ჭიდაობისა და ომის ფასად. მექმნება შთაბეჭდილება, რომ იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა ამ ერთი წლის გადაგორებაზე იყო, ახლა დროა, ხელისუფლებამ სტრუქტურულ ცვლილებებზე იფიქროს და დაშვებული შეცდომებიც კარგად გააანალიზოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მძიმე შედეგების წინაშე აღმოჩნდება.

## ვერსიანიუსი

### TV3-ის დირექტორის პოსტზე კახა ბაინდურაშვილი გრიგოლ ბაიბურთმა შეცვალა



ტელეკომპანია „TV3“-ის დირექტორის თანამდებობაზე კახა ბაინდურაშვილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, გრიგოლ ბაიბურთმა შეცვალა.

**„არხის დირექტორად გრიგოლ ბაიბურთი დაინიშნა. ტელევიზიის მფლობელებმა ასე გადავწყვიტეთ. ტელევიზიის ფორმირების პირველი ეტაპი უკვე დასრულებულია. ბაიბურთი ძალიან კარგი მენეჯერია და დარწმუნებული ვარ, საქმეებს წარმატებით გაართმევს თავს“,** — აცხადებს ბაინდურაშვილი.

კახა ბაინდურაშვილის მიერ არხის დირექტორის თანამდებობის დატოვების მიზეზი, სავარაუდოდ, ინტერესთა კონფლიქტი გახდა, რაზეც ბოლო პერიოდში მედიაშიც იწერებოდა. ამასთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 15 იანვრის სხდომაზე შპს „ენერჯი გრუპს“ (ბრენდული სახელწოდება რადიო „ზენიტის“), რომლის დამფუძნებელი კახა ბაინდურაშვილი იყო, სამაუწყებლო ლიცენზია გაუუქმა, რადგან ბაინდურაშვილი, იმავდროულად, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტიცაა. რაც შეეხება გრიგოლ ბაიბურთს, ის თბილისში, 1978 წლის 12 დეკემბერს დაიბადა. დაამთავრა თბილისის სასწავლო ეკონომიკური ინსტიტუტის საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

*„ფრონტნიუსი“*

### რუსეთში, სოჭის ოლიმპიადის წინ, უფლებადამცველებზე ზეწოლა გაძლიერდა




Human Rights Watch-ის განცხადებით, რუსეთში სამოქალაქო აქტივისტების საყოველთაო დაშინებისა და შევიწროების კამპანია ძლიერდება.

**„თუ რუსეთის ხელისუფლებას არ სურს, ოლიმპიადის ისედაც არაერთგვაროვან იმიჯს ზიანი მიაყენოს, უნდა შეწყვიტოს აქტივისტებისა და იმ პირების დევნა, ვინც არსებული პრობლემების გამო სავსებით სამართლიან შეშფოთებას გამოხატავს“,** — განაცხადა ორგანიზაციის დირექტორის მოადგილემ ევროპასა და შუა აზიის რეგიონში ჯეინ ბიუკენანმა. მისივე თქმით, რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები მშვიდობიანი აქციების მონაწილეებს აკავებენ, დაკითხვაზე იბარებენ სამოქალაქო აქტივისტებს და მათ აიძულებენ, ოლიმპიური თამაშების პერიოდში თავიანთი გეგმების შესახებ პოლიციას ინფორმაცია მიაწოდონ.

როგორც უფლებადამცველი ორგანიზაცია აღნიშნავს, ასეთი ქმედება ყოვლად დაუშვებელია და ადამიანის ელემენტარულ უფლებათა ხელყოფა გახლავთ.

*„პია.გე“*

# როგორ დაისაკუთრა გოგი შევარდნაძემ პაატა კაჭარავას წართმეული ქონება




## „საბას“ მფლობელი წართმეულ ქონებაზე მორატორიუმის გამოცხადებასა და „მარშეს“ მფლობელთა მორალურ პასუხისმგებლობას ითხოვს

გიორგი გიორგაძე

**იმის შესახებ, თუ როგორ გააკულაკეს ნაციონალებმა სს „თბილელექტროაპარატის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, სავაჭრო სახლ „საბას“ მფლობელი პაატა კაჭარავა, „ვერსია“ უკვე წერდა. მკითხველმა ისიც იცის, რომ კაჭარავას ქონების ნაწილი ოფშორული კომპანიის შვილობილმა შპს-მ — „მიწა და უძრავმა ქონებამ“ დაისაკუთრა; რაც შეეხება მეორე ნაწილს, კერძოდ, „თბილელექტროაპარატის“ 3 მილიონად შეფასებულ წარმოებას, სადაც ფართო გამოყენების პლასტმასის ნივთები მზადდებოდა, 2010 წლის 10 მაისს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პირდაპირი მიყიდვის წესით, „გუდვილის“ ერთ-ერთ მეწილეს, სარფის საბაჟოს ყოფილ უფროსსა და, თავის დროზე, ასლან აბაშიძესთან დაახლოებულ გოგი შევარდნაძეს 500 ათასად უბოძა. პაატა კაჭარავას კუთვნილ 29 500 კვადრატულ მეტრზე შევარდნაძემ მაღაზია, საწყობი და წარმოება „მარშე“ გახსნა, თუმცა ნათქვამია, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო და ექსმებაჟესაც ასე დაემართა — რამდენიმემილიონიანი დავალიანების გამო, ზემოხსენებული ქონება თიბისი ბანკმა გადაიფორმა ანუ სახეზეა „ნაციონალური კოლმეურნეობიზაციის სამკუთხედი“ — სახელმწიფო-„მარშე“-თიბისი ბანკი. თუ ქვეყანაში ოდესმე სამართლიანობის აღდგენა დაიწყო, ამ სამკუთხედიდან ვინ უნდა აგოს პასუხი? პაატა კაჭარავა, უპირველესად, ნაციონალების დასჯას ითხოვს, ამასთან, გოგი შევარდნაძის მორალურ პასუხისმგებლობაზეც საუბრობს და ახალ ხელისუფლებას მოუწოდებს, წართმეულ ქონებაზე მორატორიუმი გამოაცხადოს.**

**— ბატონო პაატა, ქონების ეს ნაწილი, პირდაპირი მიყიდვის წესით, 2006 წელსვე გაყიდეს?**

— არა, თავდაპირველად, ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა, თუმცა სამი-ოთხი წლის განმავლობაში უპატრონოდ იყო მიტოვებული და ხალხი ძარცვავდა — შენობა-ნაგებობებს ანგრევდა და ჯართს აგროვებდა.

**— ეს შენობები თქვენი აშენებულია?**

— არა, მაგრამ მას მერე, რაც „თბილელექტროაპარატის“ აქციები შევიძინე, გავარემონტე. როცა შევიძინე, საწარმო წამგებიანი იყო და ვალიც ჰქონდა, მაგრამ გავისტუმრე, წარმოების ახალი ტექნოლოგები ავითვისე და მომგებიანი გავხადე.

**— წარმოება რა ფართობზეა გაშლილი ანუ „მარშეს“ პრეზიდენტმა სააკაშვილმა, პირდაპირი მიყიდვის წესით, სულ რა რაოდენობის მიწის ნაკვეთი „უფეშქაშა“?**

— 29 500 კვადრატული მეტრი, მასზე არსებული ორი ძირითადი და რამდენი დამხმარე შენობით.

**— სააკაშვილმა თქვენი კუთვნილი ქონება პირდაპირი მიყიდვის წესით, როგორ ფიქრობთ, მაინცდამაინც, გოგი შევარდნაძეს რატომ უბოძა?**

— როგორც ვიცი, გოგი შევარდნაძე ე.წ. აჭარის რევოლუციის დროს ახალაიებს დაუახლოვდა — მაშინ შევარდნაძე სარფის საბაჟოს უფროსი იყო, ვიდრე ასლან აბაშიძე საქართველოდან წავიდოდა, სააკაშვილმა აჭარაში, საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად, როგორც მსმენია, ახალაიები და ვასილ სანოძე გაგზავნა. დეტალები არ ვიცი, მაგრამ შევარდნაძემ და ნაციონალებმა საერთო ენა, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ გამონახეს.

**— ბატონო პაატა, თუ საწარმო მუშაობდა და მომგებიანი იყო, სახელმწიფომ რატომ გაყიდა?**

— ვიცოდი, რასაც ვაწარმოებდი, მათ კი არ იცოდნენ, რა გაეკეთებინათ. ქონება იმიტომ წამართვეს, რომ ნახეს, ფული არ მქონდა და ვერ გადავიხდიდი. ისე, ფული რომც მქონოდა, მაინც არ გადავიხდიდი.

**— გოგი შევარდნაძემ თქვენი ქონება რამდენად იყიდა?**

— 500 ათასად.

**— ქონების თვითღირებულება რა იყო?**

— ნაციონალებმა ეს ქონება 3 მილიონის სანაცვლოდ ჩამომართვეს. მოგვიანებით, „მარშემ“, დამატებით, ამ ქონების მიმდებარედ, 55 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი 51 ათას ლარად ანუ კვადრატული მეტრი, დაახლოებით, 920-ად შეიძინა. აქედან გამომდინარე, მარტივად შეიძლება დაითვალოს, რა მოგება ნახა „მარშემ“, რომელსაც ჩემი ქონება პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცა.

**— გარკვეული პრობლემები, როგორც ვიცი, „მარშესაც“ აქვს...**

— კი, გაკოტრების რეჟიმშია — თიბისი ბანკმა, ვალის სანაცვლოდ, მხოლოდ „მარშე“ კი არა, მგონი, „გუდვილიც“ წაიღო.

**— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავარ პროკურატურას, გამოძიების დაწყების მოთხოვნით, ქონების ამ ნაწილზეც მიმართეთ?**

— სარჩელი ორივე საქმეზეა შეტანილი.

**— გოგი შევარდნაძეს პირისპირ არ შეხვედრიხართ?**

— არა, ერთხელ შევუთვალე — ეს წართმეული ქონებაა-მეთქი... ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე, ლამის, 4 წელი ჰქონდა გამოტანილი, მაგრამ არ იყიდებოდა, ამიტომ ფასი თანდათან აკლდებოდა და, ბოლოს, მილიონზე ჩამოვიდა, მაგრამ ამ თანხადაც ვერ გაიყიდა და გოგი შევარდნაძეს ნახევარმილიონად მისცეს. სხვათა შორის, ფასმა მილიონამდე რომ დაიწია, ვაპირებდი, ჩემივე ქონება შემესყიდა, მაგრამ, ამასობაში, აღმოჩნდა, რომ სააკაშვილმა პირდაპირი მიყიდვის წესით გაასხვისა.

როცა გოგი შევარდნაძე ამ ტერიტორიაზე შემოვიდა, ე.წ. წითელი ხაზების, საერთო ჯამში, 23 კვ.მ-ს კონტროლი დაიწყო. ჩვენი ადმინისტრაციული შენობის ერთ-ერთი ფანჯარა წართმეულ ტერიტორიას გადაჰყურებს — ყველაფერი ეს ხომ ერთიანი წარმოება იყო. მოკლედ, შევარდნაძემ ჯერ არქიტექტურის სამსახურში მიჩივლა, მერე — ფინანსურ პოლიციაში, ეგონა, დამაშინებდა, მაგრამ გამომძიებელს ვუთხარი, შევარდნაძეს გადაეცი, დააყენოს, თორემ დავაყენებინებ-მეთქი... ამის მერე კაბელი აგვიფეთქა.

**— რას გულისხმობთ?**

— ელექტროგადამცემი სადენის გატანას გვთხოვდა, ეს ტერიტორია ახლა ჩემი საკუთრებაა და რომ დაზიანდეს, სამუშაოების ჩატარების უფლებას არ მოგცემო. არ დავთანხმდი, კაბელი ხელოვნურად დააზიანეს და აღდგენის საშუალებაც არ მოგვცეს. ერთ-ერთი ავტომანქანა, შავი „პრადო“, რომელიც, ასე ვთქვათ, გვაკონტროლებდა და კაბელის აღდგენის საშუალებას არ გვაძლევდა, კუდ-ზე იყო რეგისტრირებული...

**— გოგი შევარდნაძე, პრინციპში, დამნაშავე არაა — სახელმწიფო ქონებას ყიდდა და მანაც იყიდა.**

— დამნაშავე იმდენადაა, რამდენადაც წართმეული ქონება იყიდა და არც შეერგო — დაკარგა. სხვათა შორის, იმხანად, „გუდვილთან“ ათი ჰექტარი მიწა ბევრად იაფად იყიდებოდა და შეეძლო, ის ეყიდა. ყველამ იცოდა, მიშა რასაც აკეთებდა და გოგი შევარდნაძეს გაგონილი არ ჰქონდა? ბოლოს და ბოლოს, ბიზნესმენია და არ იცის, რომ ქონებას, რომელიც სახელმწიფოსგან იყიდე, სახელმწიფოს აღარ აჩუქებ? საჯარო რეესტრის ამონაწერში პირდაპირ წერია, რომ ეს ქონება ნაჩუქარია და თუ დაინტერესდებოდა, შეეძლო, ეს ინფორმაცია ამოეღო.

**— სამართლებრივად, სახელმწიფოს ედავებით თუ გოგი შევარდნაძეს?**

— პირველ რიგში, ნაციონალების სახელმწიფოს... რაც შეეხება შევარდნაძეს, აქ მორალური მხარეა. რამდენჯერმე ასეთი შემთხვევა მქონდა: რაღაც ქონების შეძენა მინდოდა, მაგრამ შევიტყვე, რომ წართმეული იყო და იქით აღარც გამიხედავს...

**— თქვენი ქონება, ამჟამად, მესამე პირის — თიბისი ბანკის ხელშია ანუ მდგომარეობა არცთუ მარტივია და სამართლიანობა როგორ უნდა აღდგეს?**

— სამართლიანობა რომ აღდგეს, გამოძიება უნდა დაიწყოს, რითიც დადგინდება, რომ ჩუქება ზეწოლით მოხდა — მინდობილობა საპყრობილეში დავწერე. გარდა ამისა, ნაციონალებს ჩემი თანამშრომლებიც მძევლებად ჰყავდათ. კოტე ყიფიანმა მითხრა კიდეც — თქვენი თანამშრომლების საქმე ცალკეა გამოყოფილი და თუ შემდგომში გაასაჩივრებ, მათ დავიჭერთო. ამ საქმეს ექვსწლიანი ხანდაზმულობის ვადა ჰქონდა და ვიდრე ვადა არ გავიდა, არ დახურეს. სხვათა შორის, გამოძიებით ისიც უნდა დადგინდეს, სააკაშვილი სახელმწიფო ქონებას როგორ ანიავებდა. საერთოდ, მე თუ მკითხავთ, პრეზიდენტს რამის პირდაპირი მიყიდვის წესით გასხვისების უფლება არ უნდა ჰქონდეს, რადგან ქონება თუ სახელმწიფოს საკუთრებაა, ესე იგი, ის საერთო-სახალხო საკუთრებაცაა და როგორ შეიძლება, ერთმა პიროვნებამ პირადი შეხედულებით განკარგოს?! ისე, ბიზნესმენთა ნაწილი წართმეული ქონების ყიდვას ერიდებოდა და ყველაფრის მფლობელი, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს გაიყიდა, ესა თუ ის ოფშორული კომპანიაა, რომლის უკანაც ნაცმოძრობა დგას, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ კანონი უნდა მიიღოს, რითიც ოფშორში რეგისტრირებული ყველა კომპანიის რეალური მფლობელი გამოაშკარავდება. თუ პატიოსანი ხარ და ბიზნესს პატიოსნად აკეთებ, ოფშორში რატომ იმალები? აი, თუნდაც დავით კეზერაშვილი, რომელსაც ოფშორში უამრავი კომპანია აქვს რეგისტრირებული... სხვათა შორის, კოტე ყიფიანი, რომელმაც ქონება წამართვა და, რომელიც ახლა თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსია, დავით კეზერაშვილმა ფინანსური პოლიციიდან თავდაცვის სამინისტროში წაიყვანა და სამხედრო პოლიციის ერთ-ერთი დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის უფროსად დანიშნა. თუ გამოძიება სამართლიანად წარიმართება, კეზერაშვილის ბრალდებებს ჩემი საქმეც დაამძიმებს, რადგან კეზერაშვილი და ყიფიანი ერთი ჯაჭვია და, გასაკვირია, რომ ეს ადამიანი კვლავ ხელისუფლებაშია! თუ ვინმეს ჰგონია, მადლობელნი უნდა ვიყოთ, რომ ბიზნესს აღარ ატერორებენ, ცდება — ხელისუფლების ვალდებულებაა, ადამიანის უფლებები, მათ შორის, კერძო საკუთრება დაიცვას. ვინც ნაციონალების დროს მე და სხვა უამრავი ადამიანი გააუბედურა, პასუხი აუცილებლად უნდა აგოს და არ შეიძლება, ისინი კვლავ ხელისუფლებაში იყვნენ, რადგან დანაშაულს ჩაიდენენ! მანუჩარ კაპანაძე და მერაბ ჯორბენაძე, რომლებმაც გამასამართლეს, დღესაც მოსამართლეები არიან, არადა, ასეთი ხალხისგან ყველა სახელმწიფო უწყება უნდა გაიწმინდოს!

**— ბატონო პაატა, რას გრძნობთ, როცა თქვენს წართმეულ ქონებას ხედავთ?**

— „თბილელექტროაპარატში“ მუშაობა 1988 წელს დავიწყე, ოსტატობიდან საამქროს უფროსობამდე, ყველა საფეხური გავიარე და საწარმო ეკონომიაზეც გავიყვანე. მოკლედ, გული მტკივა... სხვათა შორის, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თიბისი ბანკმა ეს ტერიტორია აუქციონზე გამოიტანა — 12 მილიონად ყიდდა, მაგრამ მყიდველი არ გამოჩნდა...

**— ამ ქონების წართმევით, ჯამში, რამდენი იზარალეთ?**

— გარდა იმისა, რომ მსხვილი გადამხდელი ვიყავი და ბიუჯეტში ერთი და ორი კი არა, რამდენიმე მილიონი შემქონდა, მას შემდეგ, რაც ქონება წამართვეს, სახელმწიფომ, მხოლოდ დღგ-ს ნაწილში, 18 მილიონი იზარალა, პირდაპირი მიყიდვით კი რაც მიიღო, ჩანს — „მარშე“ გაკოტრებულია.

პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები: წართმეულ ქონებაზე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს — ამ ქონების გაყიდვა დროებით უნდა აიკრძალოს, თორემ ნაციონალებმა, შეიძლება, ფიქტიური გაყიდვა დაიწყონ. სამწუხაროდ, მთავრობამ სამართლიანობის აღდგენის კომისიის შექმნა გააჩერა.

**— ბატონო პაატა, ალბათ, ილუზია არ გაქვთ, რომ ზარალს ვინმე აგინაზღაურებთ. ამ თემის გააქტიურებით ღირსების აღდგენას ცდილობთ?**

— დიახ, ასეა! კაცობრიობა უსამართლობას ებრძვის. სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა ფორმის უსამართლობა არსებობდა და, როცა უკანონოდ მოგექცევიან, ვიდრე ცოცხალი ხარ, იბრძვი, რომ სამართლიანობა აღდგეს! ნაციონალები დინოზავრების ქურდები იყვნენ და იმას ასამართლებდნენ, ვისაც მოლეკულის მოპარვის სურვილი ჰქონდა! კანონით, მოქალაქე, რომლის ოჯახის ანუ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებთა საერთო შემოსავალი წელიწადში 40 ათას ლარს აღემატება, ვალდებულია, საგადასახადოში ფინანსური დეკლარაცია წარადგინოს და სამართლიანობის აღდგენაც სწორედ ამით უნდა დაიწყო — 9 წლის განმავლობაში რომელმა ნაციონალმა და მისმა სანათესაო-სამეგობრომ წარადგინა დეკლარაცია?

**— როცა ქონება წაგართვეს, თქვენი ვაჟები პატარები იყვნენ. იციან, რა გადაგხდათ?**

— რა თქმა უნდა, იციან და სულ მეკითხებიან, მამა, რა ხდებაო. უსამართლობა შვილებშიც გადადის — ბაბუაჩემი, კომუნისტების დროს, კოლექტივიზაციის მსხვერპლი გახდა, გადაასახლეს და აღარ დაბრუნებულა. მას მერე რამდენიმე ათეული წელი გავიდა, მაგრამ მაინც ბაბუაზე ვლაპარაკობ. ჩემი საქმეც ასე იქნება და თაობიდან თაობაზე გადავა!

**— ისე, ბატონო პაატა, ცოტა ცინიკურია — ამხელა ქონება წაგართვეს და 2008 წლის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დროს ნაცმოძრაობას კიდევ 10 ათასი ლარი შესწირეთ...**

— თუ არ „შევწირავდი“, დამიჭერდნენ — მაშინ კოტე ყიფიანი ისევ ფინანსურ პოლიციაში მუშაობდა და მათი დატერორების საშუალება, ვისი საგამოძიებო ვადაც გასული არ იყო, კიდევ ჰქონდა... ფინანსური პოლიციიდან დარეკეს, შეხვედრა გვინდაო და გვითხრეს, პარტიას უნდა დაეხმაროთ, აი, ანგარიში და ათი ათასზე ნაკლებს ნუ გადარიცხავთო.

**— პრემიერ ღარიბაშვილთან შეხვედრა ხომ არ გიცდიათ?**

— არ მიცდია... პრობლემა საყოველთაოდ ცნობილია — ეს ხელისუფლება სწორედ სამართლიანობის აღსადგენად მოვიდა, მაგრამ გამოდის, ნაციონალებს დანაშაულს „უპრავებს“ — ნაციონალები ისევ უმრავლესობაში არიან და იცით, როგორი მდგომარეობაა? — მწყემსებს საჭმელი რომ გამოელიათ და ცხვრის ფარას კატა ჩამოუკიდეს: კატა კნაოდა და ცხვარი ზემოთ იყურებოდა, რა ხდებაო. ჩვენც ასე ვართ — პარლამენტს ვუყურებთ, რა მოხდება და ერთ ბარტყს გადმოგვიგდებენ: ხან მერაბიშვილს, ხან — კეზერაშვილს. ნაციონალებმა მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს და ისე უნდა გასამართლდნენ, როგორც ფაშისტები, მაგრამ დღესაც გვმოძღვრავენ.

# „სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს!“

## რა საიდუმლოს მალავს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებაზე და რატომ თქვა უარი დაპირებულ ინტერვიუზე მიხეილ მაჭავარიანმა



რუსუდან შელია
557-100-768

**პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიება საზოგადოებაში აქტუალობას არ კარგავს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ხელისუფლება საქმის ახალ დეტალებსა და გვამის შვეიცარიაში ეგსჰუმაციაზეც საუბრობს. 2013 წლის დეკემბრის დასაწყისში, ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელმა, ამჟამად ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მაჭავარიანმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ უახლოეს მომავალში, პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საზოგადოებას სრულ სიმართლეს ამცნობდა და იმ ადამიანებსაც დაასახელებდა, რომლებიც ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებით სპეკულირებდნენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი ექსკლუზიურ ინტერვიუსაც დაგვპირდა, თუმცა გადაიფიქრა — ვიცი ის, რაც ვიცი და გამოძიების დასრულებამდე დუმილს ვამჯობინებო. მოკლედ, დაპირებული ინტერვიუ არ შედგა, მაგრამ მიხეილ მაჭავარიანი „ვერსიას“ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე მაინც ესაუბრა.**

— მას შემდეგ, რაც საზოგადოებას, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სრული სიმართლის გამხელას დავპირდი, მოვლენები საკმაოდ საინტერესოდ განვითარდა. კერძოდ, ვანო მერაბიშვილს პროკურატურის წარმომადგენლებმა პირდაპირ მოსთხოვეს, ზურაბ ჟვანიას საქმის გახსნაში დაგვეხმარე და ვინმეს ხელი დაადეო. ზურას საქმეზე „ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებაში საკმაოდ დიდი მოლოდინი გააჩინა, თუმცა გამოძიება ჩიხშია და პროკურატურა გამოსავალს გააფთრებული ეძებს. სწორედ ამიტომ ჰქონდათ ოთარ ფარცხალაძის იმედი, რომელიც დიდი ხანია, ოპერატიული მუშაკია და საქმის შეთხზვაც ადვილად ეხერხება.

**— ბატონო მიხეილ, ნუ გავიწყდებათ, რომ ოთარ ფარცხალაძე ნაციონალური მოძრაობის მმართველობისას დაწინაურდა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ხელმძღვანელობდა!**

— დიახ, ამის აღიარება არ მიჭირს... სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებს არ ვაკონტროლებდით და სწორედ ამის შედეგია, რომ მოქალაქეებს ცხრა წლის განმავლობაში, ბიზნესის თავისუფლებასთან დაკავშირებით, პრეტენზიები უჩნდებოდათ. ფარცხალაძე ფიქრობდა, რომ „გრინ სერვისის“ საქმეზე დაკავებულ კობა ხარშილაძეს ციხეში სასურველ ჩვენებას მიაცემინებდა, გონიოს აგარაკის საქმეშიც სწორედ ასე მოხდა — ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ მოწმემ ჩვენება შეცვალა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე, პაუზა ავიღო და გამოძიების დასრულებას დაველოდო, რომელიც, მერწმუნეთ, „ქართული ოცნებისთვის“ გახმაურებული საქმეების გამოძიების კუთხით, პირველი სერიოზული ფიასკო იქნება.

**— თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ საზოგადოებამ შეიძლება ჩათვალოს, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით სათქმელი არაფერი გქონდათ და ამ მიმართულებით მხოლოდ ფუჭი მოლოდინი გააჩინეთ.**

— რა ვქნა, საზოგადოებას მოლოდინი უნდა გავუწბილო. ჩვენი ბოლო ინტერვიუს შემდეგ, მეც უამრავი ადამიანი მიკავშირდებოდა, თუმცა, ამ ეტაპზე, დუმილს ვამჯობინებ. ახლა სურთ, საქმე იმ ვერსიაზე ააწყონ, თითქოს, ზურა ბინაში გარდაცვლილი მიიყვანეს, თუმცა მაქვს იმედი, რომ, საბოლოოდ, საღი აზრი გაიმარჯვებს და ხელისუფლება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ვერ გაბედავს.

**— პრემიერ ღარიბაშვილის განცხადებით, გამორიცხული არაა, ჟვანიას გვამს ეგსჰუმაცია შვეიცარიაში ჩაუტარდეს...**

— კი, ბატონო, მივესალმები. პირადად მე, გამოძიებაში არსებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნებიც წაკითხული მაქვს.

**— ის დასკვნაც ნანახი გაქვთ, სადაც ნათქვამია, რომ ჰაერში ნახშირორჟანგის რაოდენობა პრემიერის სიკვდილის მიზეზი ვერ გახდებოდა?**

— მე ვიცი ის, რაც ვიცი....

**— იქნებ, ის მაინც განმარტოთ, საბურთალოს ქუჩაზე პირველი გია ბარამიძე რატომ მივიდა?**

— როცა ზურას გარდაცვალების შესახებ ცნობილი გახდა, პირველად სწორედ გიას დაურეკეს. უმჯობესი იქნება, თუ ამ თემაზე გია თავად ისაუბრებს, თუმცა ჩემი აზრით, მასთან ერთად, ოჯახის წევრებიც უნდა ყოფილიყვნენ. ამ შემთხვევაში, კითხვაც ნაკლები იქნებოდა. გიასთვის ეს საკმაოდ მძიმე საკითხია, რადგან გარდაცვლილი ზურა პირველმა ნახა.

**— ზურაბ ჟვანიას მეგობრის, მარინა მოლოდინის განცხადებით, ექსპრემიერის გარდაცვალების შემდეგ, პოსტზე თქვენი კანდიდატურაც განიხილებოდა.**

— ზურას გარდაცვალების მეორე დღესვე ათი ადამიანი შევიკრიბეთ, სადაც მარინა მოლოდინი არ იყო, ამიტომ მან ეს დეტალები არ იცის. ჩემი კანდიდატურა პრემიერის თანამდებობაზე არასოდეს განხილულა, ზურაბ ნოღაიდელის კანდიდატურა კი, მიხეილ სააკაშვილმა დააყენა. კარგად მახსოვს მისი სიტყვები — მესმის, ამ ვითარებაში რთულია პრემიერის კანდიდატურის განხილვა, თუმცა გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მივიღოთ და, ჩემი აზრით, კარგი იქნება, ამ თანამდებობაზე ზურაბ ნოღაიდელს თუ დავასახელებთო.

**— ნოღაიდელი პრემიერად ისე დაინიშნა, ზურაბ ჟვანიას თანაგუნდელებისთვის აზრი არავის უკითხავს?**

— არა, სააკაშვილს ყველა დავეთანხმეთ, წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საერთოდ, მაშინ მსგავსი თემების განხილვისთვის არავის ეცალა.

**— ბატონო მიხეილ, თქვენთვის ისიც სიახლეა, რომ ნაციონალურ მოძრაობასა და ზურაბ ჟვანიას გუნდს შორის განხეთქილება იყო დაწყებული და პრემიერი ოპოზიციაში გადასასვლელად ემზადებოდა?**

— ბუნებრივია, არ დავიწყებ მტკიცებას, რომ ჩვენს შორის დაპირისპირება არ იყო, პირიქით, 2003 წლამდე ერთმანეთის კონკურენტები ვიყავით და არჩევნებისთვის გაერთიანებაც კი ვერ მოვახერხეთ, თუმცა 2003 წლის ნოემბერში, ვარდების რევოლუციის პერიოდში, ყველამ გავიაზრეთ, რომ ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანა მხოლოდ ჩვენი გუნდის ერთიანობას შეეძლო. შესაძლოა, ბევრს არ ახსოვს, მაგრამ ფაქტია, მაშინ ჯარი ფეხშიშველი დარბოდა, პოლიცია ყაჩაღობის ბუდე იყო, უშუქობა და უგაზობა კი საზოგადოებისთვის ნორმას წარმოადგენდა. მაშინ ზურასა და მიშას შორის შეთანხმება შედგა და ხაზგასმით ითქვა — შესაძლოა, ერთმანეთი არ მოგვწონს, მაგრამ ქვეყანა წინ ერთად უნდა წავიყვანოთო.

**— როგორც ჩანს, შეთანხმებამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან იგივე მარინა მოლოდინის განცხადებით, ზურაბ ჟვანიამ პარტიის ცენტრალური ოფისისთვის ქირის გადახდა განაახლა.**

— მარინა მოლოდინისგან განსხვავებით, ზურას გარდაცვალების დღეს შევხვდი, ამიტომ მისი გეგმების შესახებ მეტი ვიცოდი. კონფლიქტი არ ყოფილა და არც ოპოზიციაში წასვლა იყო გადაწყვეტილი. რაც შეეხება პარტიის ცენტრალურ ოფისს, მისი ქირა ზურას გარდაცვალების შემდეგ გადავიხადეთ, რადგან საკმაოდ სოლიდური დავალიანება დაგროვდა. რბილად რომ ვთქვათ, როგორც ჩანს, ზოგიერთებს ფაქტები ზუსტად აღარ ახსოვთ, თან ეს ის პერიოდია, როცა პენსიის დავალიანება გავისტუმრეთ, ელექტროენერგიის მყარ გრაფიკს ვიცავდით და ქვეყანაში ყოველდღე სასიამოვნო სიახლე ხდებოდა, რითიც ზურა ძალიან გახარებული იყო. ბუნებრივია, პრობლემები არსებობდა, გუნდში უკმაყოფილო ადამიანებიც იყვნენ, მაგრამ ეს სამუშაო პროცესის ნაწილად მიმაჩნია. მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ჟვანიას შორის სერიოზული კონფლიქტი არასოდეს ყოფილა.

**— ახლა სად იმყოფება ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი და რატომ არ გამოეხმაურა ვანო მერაბიშვილის განცხადებას? გაჩნდა ვერსია, რომ ამ მეთოდით ყოფილმა პრემიერმა ქვეყნიდან წასული ექსპრეზიდენტი დააშანტაჟა...**

— როცა ვანო დააკავეს, სააკაშვილი პროცესებში საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული. დღესაც, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს, რომ პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის დაკავება დასავლეთში აქტიური განხილვის საგნად დარჩეს. რაც შეეხება შანტაჟის მცდელობას, აბსოლუტურად იაფფასიანი ვერსიაა, რითიც ვანო მერაბიშვილის „შეშინება“ სურთ. პირიქით, ვანომ კარგად იცის, რომ არავის დავიწყებია. პარტიის ცენტრალურ ოფისში მერაბიშვილის პლაკატის გამოფენაც მიხეილ სააკაშვილის იდეა იყო, რადგან მის დაკავებას ექსპრეზიდენტი საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამს.

**— პარტიის თავმჯდომარისგან პარტიულ მითითებებსაც იღებთ თუ სააკაშვილი პარტიისთვის ტვირთად იქცა?**

— ჯერჯერობით, სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არ აპირებს, თუმცა კვირაში ერთხელ აუცილებლად გვეხმიანება. იგი პარტიის მუშაობაში დიდი ხანია აღარ მონაწილეობს, რადგან მიაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა ახლა მის გარეშე უნდა განვითარდეს. ფიქრობს, რომ რაც ნაკლებად ჩაერევა პარტიის საქმიანობაში, ჩვენთვის უკეთესი იქნება. მართალია, „ქართული ოცნების“ მიზანი ჩვენი განადგურებაა, მაგრამ ხელისუფლების ძირითად ოპონენტებად ხალხმა გვაღიარა, ამიტომ მმართველ გუნდს ამ აზრთან შეგუება მოუწევს. სწორედ მთავარი ოპოზიცია იქნება ძალა, რომელიც ხელისუფლებას ძალიან მალე შეცვლის, მით უმეტეს, იმ გაუგებარი პოლიტიკის პირობებში, რომელსაც „ქართული ოცნება“ ახორციელებს.

**— ფიქრობთ, დავით კეზერაშვილის დაკავების შემდეგ, რომელიც პარტიის მთავარი დონორი იყო, ხელისუფლების ოპონენტებად დარჩენას დიდხანს შეძლებთ? სააკაშვილი ევროპარლამენტარებისთვის გაგზავნილ წერილში ღიად აცხადებს, რომ მთავარი დამფინანსებლის გარეშე პარტიის არსებობის საკითხი დადგება.**

— დიახ, არავინ მალავს, რომ კეზერაშვილი პარტიის ერთ-ერთი ძირითადი დონორი და მხარდამჭერი იყო, რომელმაც ბიზნესში გადასვლის შემდეგ ფინანსები წარმატებით დააგროვა. ბუნებრივია, ამ პირობებში პარტიას ფინანსური პრობლემები შეექმნება. საპრეზიდენტო არჩევნებშიც რესურსის გამოყენება სრულად ვერ მოვახერხეთ, რადგან ნინო ბურჯანაძესა და „ქართულ ოცნებასთან“ შედარებით, საკმაოდ მცირე ბიუჯეტი გვქონდა, თუმცა ცუდი შედეგი მაინც არ დაგვიდია. ზეწოლის ფონზე, სხვა დონორებსაც ჩვენი დაფინანსების სურვილი ეკარგებათ, თუმცა ნაციონალური მოძრაობა არსებობას ღირსეულად განაგრძობს.

## ვერსიანიუსი

### კათოლიკოს-პატრიარქის ნათლული კიდევ 610 ბავშვი გახდა



19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე, ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში 34-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა — უწმინდესმა 610 ბავშვი მონათლა. საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის „ძლევაის“ ინფორმაციით, მონათლულებს საჩუქრად ნათლობის მოწმობა, სახარება, სანთლები და ჯვარი გადაეცათ.

ამჟამად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 19 136 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი წყვილების ოჯახში მესამე და მომდევნო შვილები არიან. 33-ე საყოველთაო ნათლობა 2013 წლის 19 დეკემბერს გაიმართა. ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა კი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში 2008 წლის 19 იანვარს შედგა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

### პოლიციამ ნარკოდანაშაულში ეჭვმიტანილი დააკავა

შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, 1955 წელს დაბადებული ბიძინა ბ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ქუთაისში, აბაშიძის ქუჩაზე დააკავეს, მისი პირადი ჩხრეკისას პოლიციამ 68 ამპულა ნარკოტიკული საშუალება მორფინი ამოიღო. გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა–შენახვის ფაქტზე სსსკ-ს 260–ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

*„პია.ჯე“*





# გარდაბნის თბოელექტროსადგური — ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის გარანტი!

## 200 000 000 დოლარზე მეტი ინვესტიცია და 600 სამუშაო ადგილი საქართველოს მოქალაქეებისთვის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**17 იანვარს, საქართველოს საპარტნიორო ფონდმა, შვილობილ კომპანია ს/ს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ და უმსხვილეს თურქულ კომპანია „ჩალიკ ენერჯისთან“ ერთად, გარდაბნის რაიონში უპრეცედენტო ენერგოპროექტის მშენებლობა დაიწყო. გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტის დაწყების ოფიციალურ ცერემონიალს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ვიცე-პრემიერები — კახი კალაძე, გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრები, პარლამენტარები, თურქეთიდან მოწვეული სტუმრები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. დამატებითი ელექტროენერგიის გამომუშავებისა და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას 230 მეგავატი სიმძლავრის ენერგიას შესძენს.**

უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის, „ჯენერალ ელექტრიკის“ თანამედროვე ტურბინებით აღჭურვილი გარდაბნის თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში 2015 წლის ბოლოს შევა. ენერგოსისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, გარდაბნის სადგურის საშუალებით, სისტემა ელექტროენერგიით უმოკლეს ვადებში მომარაგდება. სპეციალისტების განცხადებით, გარდაბნის თბოელექტროსადგური ენერგეტიკული სისტემის ყველაზე საიმედო რეზერვი იქნება, რაც საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას უფრო გაამყარებს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 200 000 000 აშშ დოლარზე მეტია.

**„საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში, ბოლო 20 წლის განმავლობაში, პირველად შენდება ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი. გარდაბნის თბოელექტროსადგურის სიმძლავრე 230 მეგავატი იქნება, ამ პროექტით საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყება. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასა და ენერგოუსაფრთხოებას უზრუნველყოფს, რასაც ეკონომიკური განვითარების კუთხით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ენერგეტიკა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტული მიმართულებაა, ამიტომ საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის, მთავრობა ყველაფერს გააკეთებს“,** — აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**.

ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა, **კახი კალაძემ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე საქართველოს 600-მდე მოქალაქე დასაქმდება, ამ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგია კი ქვეყნის შიდაენერგობაზარს სრულად მოხმარდება: **„ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული მდგრადობისთვის ამ პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია და მოხარულები ვართ, რომ ასეთი გრანდიოზული პროექტი დავიწყეთ“.**

ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა „ვერსიას“ უთხრა, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტს 200 000 000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია დასჭირდა და პროექტი ორ წელიწადში დასრულდება. კვირიკაშვილის განცხადებით, გარდაბნის თბოელექტროსადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგია, განსაკუთრებით ზამთარში, ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება.

საქართველოს საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელი **ირაკლი კოვზანაძე** აცხადებს, რომ 2014 წლის 17 იანვარი უმნიშვნელოვანესი დღეა, როგორც საპარტნიორო ფონდის, ასევე ნავთობისა და გაზის კორპორაციისა და სრულიად საქართველოსთვის:

**„უზარმაზარი მშენებლობა დაიწყო, რომელიც 740 დღეში დასრულდება. გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტი 200 000 000 აშშ დოლარზე მეტი ჯდება, რომელიც საპარტნიორო ფონდის, „ნავთობისა და გაზის კორპორაციისა“ და თურქული „ჩალიკ ენერჯის“ მიერ ფინანსდება. გარდაბნის თბოელექტროსადგური სრულად სახელმწიფოს კუთვნილებაში იქნება და მიმაჩნია, რომ 2015 წელს საქართველოს ელექტროსისტემა მიიღებს უმნიშვნელოვანეს ელემენტს მისი დამოუკიდებლობისა და ენერგომდგრადობისთვის. ესაა ერთობლივი პროექტი და დამაკავშირებელი ხიდი საქართველოსა და თურქეთის ენერგოსისტემებს შორის, ბიზნესის სხვადასხვა დარგის განვითარებისა და კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობებისთვის“.**

უმსხვილესი თურქული ჰოლდინგის, „ჩალიკ ენერჯის“ მფლობელმა, **ახმედ ჩალიკმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ გარდაბნის თბოელექტროსადგური მათი პირველი პროექტია საქართველოში:

**„ძალიან კმაყოფილები ვართ და გვიხარია, რომ საქართველოში პროექტების განხორციელება დავიწყეთ. ამ პროექტში უახლეს ტექნოლოგიურ საშუალებებს ვიყენებთ, სადაც თქვენი ქვეყნის 600-მდე მოქალაქე დასაქმდება. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რადგან ამ სადგურზე გამომუშავებული ელექტროენერგია სრულიად საკმარისი იქნება ქვეყნის ენერგოსისტემისთვის. სამომავლოდ, გვინდა, საქართველოში სხვა პროექტებიც დავიწყოთ“.**

გარდაბნის თბოელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ოფიციალური ცერემონია სიმბოლურად დასრულდა: პროექტის ინიციატორებმა, მომავალი თაობებისადმი მიმართვის ტექსტი შეიმუშავეს, რომელსაც ხელი ირაკლი ღარიბაშვილმა, კახი კალაძემ, ახმედ ჩალიკმა და ირაკლი კოვზანაძემ მოაწერეს. მომავალი თაობებისადმი მიმართვის ტექსტი სპეციალურ კაფსულაში მოათავსეს და გარდაბნის თბოელექტროსადგურის საძირკველში ჩადეს:

**„მომავალ თაობას მივმართავთ, რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს ქვეყნის გაძლიერებისა და საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობისთვის. ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან პირდაპირ კავშირშია და ყველაფერი ეს ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია, თუ ენერგეტიკა განვითარებული არ არის“,** — განუცხადა „ვერსიას“ კახი კალაძემ.



# ლიბერთი ბანკი მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამაში ჩაერთო



**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მცირემიწიან ფერმერთა დახმარებას კვლავ ლიბერთი ბანკის საშუალებით აგრძელებს. ამჯერად, 800 000-მდე ფერმერს, ლიბერთი ბანკი თანამედროვე, უკონტაქტო ტიპის აგრობარათებს უსასყიდლოდ გადასცემს, სადაც ფერმერებს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სუბსიდია დაერიცხებათ; მეტიც — ლიბერთი ბანკის უკონტაქტო აგრობარათები გრძელვადიანია და მათი მფლობელი ფერმერები, 10 წლის განმავლობაში, არაერთი დამატებითი უპირატესობით ისარგებლებენ.**

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორმა, გიორგი ჩხეიძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი არველაძემ მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამაში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება გააფორმეს. ხელშეკრულებით, სახელმწიფოს მიერ ნედლეულის შესაძენად გაცემული დახმარება 800 000-მდე ფერმერს, ლიბერთი ბანკის მიერ, სპეციალურად ამ პროექტისთვის ემიტირებულ აგრობარათებზე დაერიცხებათ. ფერმერები ბარათს უსასყიდლოდ მიიღებენ, ხოლო სახელმწიფო სუბსიდიის გახარჯვა პროექტში ჩართულ მერჩანტებთან იქნება შესაძლებელი.

აგრობარათი თანამედროვე, უკონტაქტო ტიპის ბარათია მულტისავალუტო ანგარიშით, რომლის მფლობელიც არაერთი დამატებითი უპირატესობით ისარგებლებს, კერძოდ: ბარათი გრძელვადიანია, რომლითაც მომხმარებელი 10 წლის განმავლობაში ისარგებლებს. ასეთ საბარათე ანგარიშზე განთავსებულ ლარში დენომინირებულ ნაშთებს (სუბსიდიის ქულების გამოკლებით), საპროცენტო სარგებელი წლიური 5%-10%-ის ოდენობით დაერიცხება. ბარათის მფლობელები ჩაერთვებიან ლიბერთი ბანკის კლიენტების ლოიალობის პროგრამაში და ისარგებლებენ 10%-დან 50%-მდე ფასდაკლებით, 100-ზე მეტ სავაჭრო ობიექტში (ობიექტების სრული ჩამონათვალი იხილეთ ვებგვერდზე www.cheap.ge)

ფერმერებს შესაძლებლობა ექნებათ, მობილური ტელეფონის საშუალებით, აკონტროლონ საკუთარი ბალანსი, შეღავათიანი ტარიფებით გადაიხადონ კომუნალური გადასახადები, განახორციელონ ტრანზაქციები თიბისი ბანკისა და ლიბერთი ბანკის პოს-ტერმინალებსა და ბანკომატებში და ისარგებლონ ლიბერთი ბანკის სხვა პროდუქტების შეღავათიანი პირობებით. ბარათის გამოყენების ინსტრუქცია და უპირატესობის სრული ჩამონათვალი, შეგიძლიათ, იხილოთ 30 იანვრიდან, ვებგვერდზე www.agricard.pay.ge.

ლიბერთი ბანკი სახელმწიფო პროექტებში მონაწილეობის უნიკალური გამოცდილებისა და საქართველოში ყველაზე ფართო ქსელის მქონე ფინანსური ინსტიტუციაა. 565 ფილიალითა და სერვისცენტრის, მათ შორის მობილური სერვისცენტრების საშუალებით, ლიბერთი ბანკი 1.4 მილიონ ფიზიკურ და 70 000-მდე იურიდიულ პირს ემსახურება. ბანკის მენეჯმენტი კიდევ ერთხელ უჭერს მხარს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პროექტების მართვის სააგენტოს და აცხადებს მზადყოფნას, რათა მომავალშიც მიიღოს მონაწილეობა მსგავსი სახის სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობის სახელმწიფო პროექტებში.

# ლიტერატურული კონკურსი „საბა–2014" დაიწყო

15 იანვარს თიბისი ბანკმა ლიტერატურული კონკურსი „საბას" დაწყება გამოაცხადა. კონკურსზე წიგნების წარდგენა დღეიდან უკვე შეუძლიათ მწერლებს, მთარგმნელებსა და გამომცემლებს. ამისთვის მათ უნდა შეავსონ განაცხადი კონკურსის ვებგვერდზე saba.com.ge. განაცხადების მიღება 3 თებერვლამდე გაგრძელდება, რის შემდეგაც „საბას" ჟიური წიგნების განხილვას შეუდგება და გასული წლის ლიტერატურულ მოსავალს შეაფასებს. წელს პრემია „საბას" დაჯილდოება მეთორმეტედ გაიმართება და მასზე დასახელდება გასული წლის საუკეთესო წიგნები და ავტორები, 10 ნომინაციის მიხედვით:

1. საუკეთესო რომანი;
2. საუკეთესო პოეტური კრებული;
3. საუკეთესო პროზაული კრებული;
4. საუკეთესო პიესა;
5. საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი;
6. საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა;
7. საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა;
8. უცხოური ნაწარმოების საუკეთესო ქართული თარგმანი;
9. ქართული ნაწარმოების საუკეთესო უცხოური თარგმანი;
10. პრემია „საბა" ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.



თიბისი ბანკი
TBC BANK

საკონკურსო წიგნების სია გამოქვეყნდება „საბას" ელექტრონული წიგნების სახლში www.saba.com.ge, სადაც კონკურსის მსვლელობის პარალელურად, განთავსდება საკონკურსო წიგნების ელექტრონული ვერსიები და საზოგადოებას საშუალება ექნება, შეიძინოს და გაეცნოს მათ. ჟიური მუშაობას 10 თებერვლიდან შეუდგება. წლევანდელი ჟიურის შემადგენლობა, ტრადიციულად, კონფიდენციალური დარჩება დაჯილდოების ცერემონიამდე, სადაც საზოგადოება, გამარჯვებული ავტორების ვინაობასთან ერთად, ჟიურის წევრთა ვინაობასაც შეიტყობს. საპრემიო ფონდი, რომელსაც თიბისი ბანკი გამარჯვებულ ავტორებს გადასცემს, 44 ათასი ლარია.





# ვინ უშლის ხელს ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას

## რატომ კარგავს ქვეყანა 270 000 000 ევროს ინვესტიციას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის" ხელმძღვანელი ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის ამუშავების შედეგად, საქართველოს რუსეთის ენერგოსისტემაზე დამოკიდებულების ხარისხი შემცირდება. ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი, „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც საქართველოს მთავრობის თხოვნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (იბიარდი), ევროპის საინვესტიციო ბანკი, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი და ევროპის სამეზობლო საინვესტიციო ფონდი ახორციელებს. პროექტის მთლიანი ღირებულება 270 000 000 ევროა.**

2013 წლის 26 ოქტომბერს, ხელი მოეწერა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და შპს „ენერგოტრანსის" ჯვარი-ხორგას ერთობლივ პროექტს, რომელიც 2014-2016 წლებში უნდა განხორციელდეს. პროექტის ფარგლებში, ჯვარში, 500/220 კილოვოლტიანი ქვესადგური აშენდება, გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს 8 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას, რომელიც უკვე არსებულ, 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს „კავკასიონს", ხოლო 60 კმ სიგრძის, 220 კვ-იანი ხაზით, ჯვარი დაუკავშირდება ხორგას.

ლევან კალანდაძე აცხადებს, რომ ჯვარი-ხორგას პროექტი და გარემოზე მისი ზემოქმედების შეფასება (გზშ), იბიარდის მიერაა მომზადებული. მიუხედავად ამისა, სწორედ გზშ გახდა მიზეზი, რის გამოც, გარემოს დაცვის სამინისტრომ იბიარდისა და საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ-დამტკიცებული პროექტი შეაჩერა. ექსპერტის თქმით, ამ გადაწყვეტილებით გამოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში კოორდინაცია არ არსებობს. ლევან კალანდაძე ამბობს, რომ გზშ ჯვარი-ხორგას პროექტის შეჩერებისა და დაბლოკვის საფუძველია:

**„საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი სახელმწიფოა და არა რომელიმე, კერძო ინვესტორის მიერ დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, საკითხისადმი ასეთი დამოკიდებულება და პრაქტიკულად, სრული ქაოსი, კიდევ უფრო მეტ კითხვასა და ბუნდოვანებას აჩენს".**

ლევან კალანდაძის თქმით, სახელმწიფო სტრუქტურების არაკოორდინირებული მუშაობის ნათელი მაგალითია ჯვარი-ხორგას 500/220 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის გარშემო შექმნილი მდგომარეობა. რეალურად, პროექტი გაჩერებულია, ხოლო მის მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირები აცხადებენ, რომ მშენებლობა მიმდინარეობს. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო ელექტოსისტემის წარმომადგენელმა, ნინო ჯერანაშვილმა „ვერსიასთან" საუბრისას აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი და, მათ შორის, ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, გეგმის მიხედვით ხორციელდება. პარალელურად, გარემოს დაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ ეს პროექტი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე ვერ განხორციელდება. არადა, გაუგებარია, რატომ არ იციან გარემოს დაცვის სამინისტროში, რომ ჯვარი-ხორგას პროექტის გზშ, არც მეტი, არც ნაკლები, იბიარდის მიერაა მომზადებული.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის (აფბა) გამგეობის საბჭოს წევრის, მერაბ ჯანიაშვილის თქმით, სახელმწიფო სტრუქტურების არაკოორდინირებული მუშაობის შედეგად, საქართველოში 270 000 000 ევროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოსვლა ჭიანურდება. დღეს საქართველოს არ გააჩნია, არც ენერგეტიკული და არც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. შედეგად, ხშირია სამინისტროებსა და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა, რაც საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებელზე პირდაპირ აისახება:

**„გაუგებარია, სურს თუ არა მთავრობას, საქართველო ენერგოდამოუკიდებელი ქვეყანა გახდეს და ექსპორტზეც გავიტანოთ ელექტროენერგია. იქნებ, ხელისუფლებაში მიიჩნევენ, რომ სულ იმპორტზე უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი? მთავრობის შეუთანხმებელი ქმედებების შედეგი იყო მთავრობის ბოლო სხდომაც, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა რამდენიმე მინისტრს არათანმიმდევრული მუშაობის გამო, შენიშვნა მისცა. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის შეუთანხმებლობის გამო, საქართველო უცხოურ ინვესტიციებს კარგავს".**

მერაბ ჯანიაშვილის თქმით, საქართველო ისეთი განვითარებული სახელმწიფო არ არის, სადაც სამთავრობო კულუარებში კონკრეტული პროექტების განხილვა, შესაძლოა, ერთი ან ორი წელი გაიწელოს, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც ამა თუ იმ პროექტის ინიციატორი, უშუალოდ, მთავრობაა და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობაც კონკრეტული ელექტროგადამცემი ხაზის აშენების აუცილებლობაზე მიუთითებს:

**„ყველამ და, პირველ რიგში, ხელისუფლებამ კარგად უნდა გაიგოს, რომ ყოველი დაკარგული ან გაჭიანურებული ინვესტიცია, ჩვენი ეკონომიკის განვითარებისთვის სტიმულატორის წართმევას ნიშნავს".**

სახელმწიფო ელექტროსისტემის ოფიციალური განცხადების მიხედვით, ჯვარი-ხროგას 500/220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა შეუფერხებლად მიმდინარეობს. პარალელურად, გარემოს დაცვის სამინისტრო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ითხოვს იმის მიუხედავად, რომ გზშ იბიარდმა მოამზადა. ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის აუცილებელი პროექტის ბედი ჰაერშია გამოკიდებული და მხოლოდ ექსპერტები — ლევან კალანდაძე და მერაბ ჯანიაშვილი რეკენ განგაშის ზარს. საქართველოს მთავრობის ცალკეულ წევრებს შორის არარსებული კოორდინაციის გამო კი, ქვეყანა 270 000 000 ევროს ინვესტიციას კარგავს, რაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეროვნული ვალუტის — ლარის კურსის გამყარებისთვის გადადგმული აუცილებელი ნაბიჯი იქნებოდა. ცალკეული ექსპერტების მოსაზრებით, გაუფასურებული ლარის გასამყარებლად, ხელისუფლებამ 2014 წლის პირველ კვარტალში, დიდი რაოდენობით ინვესტიცია უნდა მოიზიდოს!

# ეკონომიკური შეთქმულება ღარიბაშვილის წინააღმდეგ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

## სოლომონ პავლიაშვილი ეჭვობს, რომ ლარის კურსის გაუფასურება ბანკებისა და მსხვილი იმპორტიორების ინტერესშია



**1 ლარი უკვე 1.78 აშშ დოლარი გახდა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები არ გამორიცხავენ, რომ მალე 1 ლარი 1.80 აშშ დოლარზე დასტაბილურდეს, არადა, არცთუ დიდი ხნის წინ, 1 ლარი 1.67 და 1.64 აშშ დოლარი იყო. ქვეყანაში, სადაც ინვესტიციების რაოდენობა ჭარბობს, ეკონომიკა ვითარდება და საწარმოები მუშაობს, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილება გასაკვირი არაა, მაგრამ საქართველოში, სადაც ინვესტიციების სიმწირეა და ეკონომიკური ზრდის ტემპიც შენელებულია, ლარის რყევა ხელოვნურ პროცესს ჰგავს. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოლომონ პავლიაშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ლარის კურსის რყევით რამდენიმე ბანკმა იხეირა. პავლიაშვილი ეკონომიკურ საბოტაჟსაც არ გამორიცხავს.**

— 2013 წლის დასაწყისში, როცა ქვეყანაში დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა, ვამბობდი, ჩვენნაირ ქვეყანას ამის კი არა, ინფლაციის უნდა ეშინოდეს-მეთქი. მაშინ დეფლაციას სპონტანური ხასიათი ჰქონდა, რაც, ძირითადად, ადმინისტრაციული მექანიზმით იყო გამოწვეული. ზოგიერთმა იმპორტიორმა ახალი ხელისუფლების მიმართ, თითქოს, კეთილი ნება გამოხატა და შემოტანილ პროდუქტზე ფასი დაწია. პირველ კვარტალში, ეროვნული ვალუტა, დოლართან მიმართებაში, სტაბილური იყო, შემდეგ ეროვნულმა ბანკმა, ერთი წლის განმავლობაში, ბრუნვიდან 600 000 000 აშშ დოლარი ამოიღო, აქედან 200 000 000 აშშ დოლარი ბაზარზე უკან გამოიტანა, ნეტომ 400 000 000 აშშ დოლარი შეადგინა, რაც ნიშნავს, რომ ეროვნულმა ბანკმა 400 000 000 აშშ დოლარი ხელოვნურად ამოიღო და, პრაქტიკულად, დეფიციტი შექმნა, ხალხმა დოლარის შეძენა დაიწყო, რითიც ლარის დევალვაციის პროვოცირება მოხდა. ეს კი, გრძელვადიან პერიოდში, ინფლაციას ნიშნავს და, ასეთ დროს, იმპორტიორები იძულებულნი არიან, ფასები წინასწარ გაზარდონ, რათა არ იზარალონ. 2014 წლის პირველ 10 დღეში, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების მოკლევადიანი რეფინანსირება განახორციელა, რისთვისაც ბაზარზე 700 000 000 ლარი გამოიტანა, ამით, ისევ და ისევ, დოლარი ამოიღო და, არ გამოვრიცხავ, ეს სპეკულაციური გარიგებაც ყოფილიყო, რადგან ამით სამმა-ოთხმა კომერციულმა ბანკმა იხეირა.

— **ბატონო სოლომონ, საბოტაჟს ეროვნული ბანკი აწყობს?**

— არა, ასე არ არის. რატომ გამორიცხავთ, რომ მართვაში პროფესიონალების პრობლემა გვაქვს?! ამიტომ თქმა, რომ ვიღაც შევარდნაძისდროინდელი ჩინოვნიკია და მისი სადმე დანიშვნა არ შეიძლება, გაუმართლებელია. როგორც კი ამაზე საუბარს დავიწყებთ, ამ ხელისუფლებასაც ის დაემართება, რაც ნაციონალურ მოძრაობას — წინა ხელისუფლება ნანობს, რომ საზოგადოების ნაწილს „ჩარეცხილები“ უწოდა და ეს ხალხი მართვაში არ გამოიყენა. გიმეორებთ, ყველა დონეზე პროფესიონალების პრობლემა გვაქვს და ამიტომ პრემიერ-მინისტრს საშუალება უნდა ჰქონდეს, საზოგადოებას გადახედოს და საკადრო დანიშვნები კონიუნქტურული არ იყოს.

— **ამბობენ, რომ ლარის კურსის დევალვაცია ხელისუფლებას ეკონომიკურ გუნდში არსებული კრიზისის გადასაფარად დასჭირდა, ასეა?**

— არა, ეროვნული ბანკი და მთავრობა სხვადასხვა ინსტიტუციაა და მათი ამ დონეზე კოორდინაცია გამორიცხულია, თან ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ეკონომიკური პროფილის მინისტრები სხვადასხვა გუნდის წარმომადგენლები არიან, ამიტომ ეროვნული ბანკი მთავრობის ნეგატიური ნაბიჯების გადასაფარად არანაირ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

— **ლარის გაუფასურება ვის ინტერესშია?**

— ლარის გაუფასურება მხოლოდ არაპროფესიონალიზმის ბრალი არ არის. შორს რატომ მიდიხართ, იქნებ, ლარის გაუფასურება რომელიმე კომერციული ბანკისა და მსხვილი იმპორტიორების ინტერესშია? — როგორც გითხარით, იანვრის პირველ 10 დღეში, ეროვნულმა ბანკმა ბაზარზე დიდი რაოდენობით ლარი გამოიტანა და ამით სწორედ კომერციულმა ბანკებმა იხეირეს.

— **ბანკების, ნავთობ და ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლები ყოველთვის ნაციონალური მოძრაობის ფავორიტები იყვნენ, ესე იგი, ლარის დევალვაცია მათ ინტერესშია?**

— სწორედ ამის დეტალური ანალიზია საჭირო და ყველაფერი ეს პრემიერ-მინისტრს ეკონომიკური გუნდის წევრებმა უნდა დაუსაბუთონ.

— **გამოდის, ირაკლი ღარიბაშვილს ეკონომიკურ შეთქმულებას უწყობენ?**

— ფაქტია, უწყობენ, რადგან ეს ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქონდეს. მეტიც, შეთქმულება კი არა, ეს ეკონომიკური საბოტაჟია და რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ: სტიქიური უბედურების დროს, ბიძინა ივანიშვილმა კახეთის მოსახლეობას სოლიდური თანხა გამოუყო, მაგრამ ადგილზე, თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა ისეთი პიარი ააგორეს, რომ ეს დახმარება ლამის უარყოფით ნაბიჯად ჩაითვალა. „რთველი 2013“ ისე ჩატარდა, 20 წლის განმავლობაში, საქართველოში ასეთი რთველი არ ყოფილა, მაგრამ ამას გაცილებით მეტი პიარი და მხარდაჭერა სჭირდებოდა. სადაზღვევო პროგრამამ სულზე მიუსწრო ჩვენს მოსახლეობას, მაგრამ იმის გამო, რომ გარკვეული ძალები ხელს უშლიან, შედეგი ბოლომდე არ დგება. სრულიად ვეთანხმები ირაკლი ღარიბაშვილს, რომელმაც აღნიშნა, რომ ოპონენტები სერიოზულად მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და გამუდმებით აცხადებენ, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი და სტაგნაციააო. ცხადია, ასეთი განცხადებები ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფითად მოქმედებს.

— **ბატონო სოლომონ, მთავრობის ეკონომიკურ გუნდში კრიზისია?**

— მგონია, რომ გუნდში კოორდინაცია, ამ ეტაპზე, ნამდვილად სუსტია ანუ მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, ან ზოგიერთი სამინისტრო ავტონომიურ რეჟიმში მუშაობს. კოორდინაციის პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ ბოლო დროს, გამოიკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ უნდა მომხდარიყო ლარის დევალვაცია, როდესაც უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოსახლეობის მიერ, საქართველოში გადმორიცხული ფულადი ტრანსფერები გაზრდილია, ექსპორტიც გაიზარდა და საქართველოში შემოსული უცხოელების რაოდენობამაც მოიმატა? ლარის კურსის რყევასთან დაკავშირებით, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ეს მცოცავი კურსია, თუმცა ეს პროცესი ცეცხლთან თამაშია, რადგან, ავტომატურად, ყველა სახის პროდუქტი გაძვირდება, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენი ბაზრის შიდამოხმარების 75% იმპორტირებულია.

— **ესე იგი, ბენზინი და დიზელი, ხორბალი და შაქარი გაძვირდება?**

— პირველ რიგში, ნავთობპროდუქტები და ენერგომატარებლები გაძვირდება, რაც, თავისთავად, ყველა სახეობის პროდუქტს გააძვირებს. გარდა ამისა, სამშენებლო მასალებიც გაძვირდება.

— **უკაცრავად, მაგრამ კარტოფილი როდის აქეთ გახდა ინფლაციის საზომი?**

— ეს პროცესი ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა, მგონი, უტრირებულად ახსნა. სინამდვილეში, ინფლაციის საზომი სურსათი და უალკოჰოლო სასმელი, მომსახურება და ბევრი სხვა, მთლიანად სამომხმარებლო კალათაა და არა კარტოფილი. ვფიქრობ, მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის ან საერთოდ არ არის კოორდინაცია, ან ძალიან სუსტია.

— **ბოლო დროს, „სოკარს“ აზერბაიჯანიდან საწვავი აღარ შემოაქვს — საზღვარზევე იძენს სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებულ ბენზინსა და დიზელს, ეს ინფლაციასთან რა კავშირშია?**

— აქ „სოკარის“ პრობლემა არაა, აზერბაიჯანში ნავთობის დეფიციტი შეიქმნა და, შესაძლოა, ამან საქართველოში პროდუქცია გააძვიროს. იმის გამო, რომ ენერგოდამოუკიდებლები არ ვართ, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური მოვლენები გავლენას ახდენს საქართველოს ბაზარზე; მეორე მხრივ, საქართველოში მონოპოლიების პრობლემაა, რადგან ამ ბაზარზე ფასების დიფერენციაცია არ შეიმჩნევა. მსხვილ იმპორტიორებს შორის ისევ მოჩვენებითი შეთანხმება და გარკვეული შეთქმულებაა და მათ შორის კონკურენცია არ შეინიშნება. არ მინდა, ვინმე წავაქეზო, მაგრამ კონკურენცია რომ იყოს, მაშინ მსხვილ კომპანიებს შორის სასამართლო დავა ან რაიმე გაუგებრობა იქნებოდა; მონოპოლიაა ფარმაცევტულ ბაზარზეც, თუმცა იმასაც ამბობენ, იმპორტიორების რაოდენობა ბევრია და, შესაბამისად, მონოპოლისტებიც არ არიანო. მერე რა, რომ ბევრნი არიან, როგორ გგონიათ, 20 ადამიანი ოლიგოპოლიურად ვერ შეთანხმდება? შეიძლება, მათ შორის უსიტყვო შეთანხმებაცაა, რადგან ბაზარზე თამაშის მექანიზმი უკვე დახვეწილი აქვთ და ზუსტად იციან, რომ ფასს არ დაწევენ. მაგალითად, როცა მსოფლიო ბაზარზე 1 ბარელი ნავთობის ფასი 60 აშშ დოლარამდე ჩამოვიდა, ეს საქართველოში ვინმემ იგრძნო? შესაბამისად, ანტიმონოპოლიური სამსახურის ამუშავება აუცილებელი და საჭიროა. მთავრობის წევრებმა პრემიერს ხელი უნდა შეუწყონ, რაც ნიშნავს, რომ მათ, გარკვეულწილად, მეხამრიდის როლი უნდა შეასრულონ. პრემიერს სრული თავისუფლება უნდა ჰქონდეს კადრების შერჩევის თვალსაზრისითაც, მაგრამ ამის მიუხედავად, არ მგონია, რომ სამთავრობო კრიზისი გვაქვს — რამდენიმე თვეა, ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრად დაინიშნა, ამიტომ მთავრობაში გარკვეული ცვლილებები ნაადრევი მგონია. ვინც ცვლილებებზე საუბრობს, მას უნდა, რომ მთავრობა წნეხის ქვეშ მოექცეს.

— **ფინანსთა მინისტრი ამბობს, ლარი არ ეცემა და პროფესიონალებს გვაცალეთო. ბატონი ხადური პროფესიონალია?**

— მან თქვა, ეს პროცესი საშიში არ არისო, თორემ ამ ეტაპზე, ლარის კურსი უკვე გაუფასურებულია, რას ამბობთ, ლარის დევალვაციაა, რაც ინფლაციის წინაპირობაა! ლარის კურსის ასეთი ვარდნა განსაკუთრებით ცუდია იმ ადამიანებისთვის, ვისაც საბანკო ან სხვა რაიმე გადასახადის ვალდებულება დოლარში ჰქონდა დაფიქსირებული.

— **თუკი მთავრობის წევრებს შორის კოორდინაცია არ არის, თუკი ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნულ ბანკს კოორდინირებული მუშაობა არ შეუძლიათ, ეს კრიზისს არ ნიშნავს? რაც მთავარია, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ლარის კურსი 9 წლის განმავლობაში არ იცვლებოდა, რაც ძალიან ცუდი იყოო. ახლა კურსი ხელოვნურად რომ იცვლება, კარგია?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რადგან ლარის დევალვაცია ყველა ოჯახს მძიმე ტვირთად დააწვება. ვფიქრობ, პრემიერი კარგი ხედვები აქვს და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, მან ბიზნესმენებთან შეხვედრაზე კარგად მიანიშნა, რომ რეგულირება და საბაჟო ტარიფების აწევა შიდაკონკურენციას ასუსტებს, რაზეც თავი უნდა შევიკავოთ, ასევე სრულად ვეთანხმები პრემიერს, რომ ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები ინვესტიციების შემოდინებასა და, ზოგადად, ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს. ყოველივე ეს, უდავოდ, პოზიტიურად იმოქმედებს ეკონომიკაზე. მომავალში თანაინვესტირების ფონდიც ამუშავდება, უკვე პირველი პროექტიც გამოჩნდა — აზერბაიჯანელების მონაწილეობით, რძის კომბინატი იხსნება და ეს პროექტი 50 000 000 აშშ დოლარი ჯდება, რასაც სოფლის მეურნეობაში განსახორციელებელი პროექტებიც დაემატება... სხვათა შორის, ყველაზე დიდი რესურსი სწორედ სოფლის მეურნეობაშია, ამიტომ ცოტა ვაცადოთ ახალ პრემიერ-მინისტრს, რომელიც სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს.

— **გასაგებია, მაგრამ ამასობაში, გაზაფხული მოვა, რომელიც ისედაც ინფლაციური პერიოდია — წინა წლის მოსავალი უკვე ამოწურულია და ახლის მოყვანა იწყება. აი, ამ დროს უნდა ჩაერიოს ეროვნული ბანკი თავის ინსტრუმენტებით, რათა ინფლაცია შეაჩეროს და არა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში...**

— მართალია, გაზაფხული ინფლაციურად საშიში პერიოდია, რადგან მოსავალი არ გვაქვს, მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებულნი და მოთხოვნაც გაზრდილია. ერთადერთი გამოსავალი ისაა, ქვეყანაში ინვესტიციები გაიზარდოს, რაც ლარის დევალვაციას შეაჩერებს! ხელისუფლება უნდა შეეცადოს, პირველ კვარტალში დიდი რაოდენობით ინვესტიციები მოიზიდოს და ამით ლარი გაამყაროს. ამას ეროვნულმა ბანკმაც უნდა შეუწყოს ხელი და ინტერვენციები არ უნდა შეწყვიტოს! მჯერა, პირდაპირ თუ ირიბად, ხელისუფლება ჩვენს გულწრფელ რჩევებს გაითვალისწინებს, რაც ეკონომიკას უდავოდ წაადგება.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

# „რომპეტროლის“ გათამაშების გამარჯვებულს ახალთახალი „ტოიოტა კოროლა“ გადასცეს

**„არ მჯეროდა, რომ ასეთი რამ ხდებოდა. ცხოვრებაში არაფერი მომიგია. დავიბენი. არ ვიცი, „რომპეტროლის“ წარმომადგენლებს მადლობა როგორ გადავუხადო“,** — „რომპეტროლის“ გათამაშების გამარჯვებულს, წალკის რაიონის სოფელ ხანდოს მკვიდრს, სკოლის დირექტორ ოთარ ვანაძეს, ბედობა დღეს, ემოციების სიტყვებით გამოხატვა უჭირდა. 15 იანვარს, მას ახალთახალი „ტოიოტა კოროლას“ გასაღები, ალმაშენებლის ხეივნის მეცხრე კილომეტრზე მდებარე „რომპეტროლის“ განახლებულ ავტოგასამართ სადგურზე, საზეიმო ვითარებაში, თავად კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნურკენ მურზაგალიევმა გადასცა. **„რომპეტროლი“ ხშირად მართავს სხვადასხვა წამახალისებელ აქციას, ავტომობილი კი პირველად გავათამაშეთ. მომავალშიც გვექნება მსგავსი ტიპის აქციები. ვულოცავ ოთარ ვანაძეს გამარჯვებას და ვუსურვებ ბედნიერ მგზავრობას. „რომპეტროლის“ ერთგულ მომხმარებლებს, მაღალი ხარისხის საწვავის მიწოდებასთან ერთად, საინტერესო პროექტებს კვლავ შევთავაზებთ“,** — განაცხადა **ნურკენ მურზაგალიევმა** და გათამაშების დეტალებიც დააზუსტა — „რომპეტროლის“ წამახალისებელი აქცია, საქართველოს მასშტაბით, 44 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მომხმარებელი, კომპანიის ქსელში ჩასხმულ ყოველ 20 ლიტრ საწვავზე გათამაშების 1 ბილეთს იღებდა. გათამაშებაში მონაწილეობა 200 000-ზე მეტმა ბილეთმა მიიღო. მათ შორის, ყველაზე იღბლიანი კი, წალკის მკვიდრი ოთარ ვანაძე აღმოჩნდა.

**„აქამდე არაფერი მომიგია. არც მჯეროდა, საერთოდ თუ ხდებოდა ასეთი რამ. აქამდე „ფორდი“ მყავდა და საწვავს ისედაც „რომპეტროლის“ ბენზინგასამართზე ვასხამ. მიუხედავად იმისა, რომ სადგური ჩვენი სოფლიდან მოშორებით, დაახლოებით 100 კილომეტრშია, ყოველთვის ვცდილობ, იქამდე მივაღწიო, რადგან საწვავიც კარგი აქვთ და მომსახურებაც. სულ 14 ბილეთი მქონდა, რომელიც, ძირითადად, ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონებში მდებარე სადგურებში მისვლისას მომცეს, მათგან ერთი კი ასეთი იღბლიანი აღმოჩნდა. გათამაშება პირდაპირ ეთერში იყო. როცა დამირეკეს, თბილისიდან რაიონში ვბრუნდებოდი. დავიბენი, გახარებულმა, ვერაფრის თქმა მოვახერხე. რამდენიმე ოჯახში შევედი, მაგრამ ელექტროენერგია არ იყო და დიდი წვალებით მივაღწიე ტელევიზორამდე — სანამ საკუთარი თვალით არ ვნახე, რომ პირდაპირი ეთერით მილოცავდნენ, დაჯერება მიჭირდა. საოცარი მანქანაა. მადლობა „რომპეტროლს“, რომლის წყალობითაც, ჩემ ოჯახს ასეთი დიდი ბედნიერება ეწვია“,** — ემოციას ვერ მალავს „რომპეტროლის“ ყველაზე იღბლიანი მომხმარებელი **ოთარ ვანაძე,** რომელიც აცხადებს, რომ მომავალშიც ამ კომპანიის ერთგული დარჩება. '

კომპანიის ყველაზე იღბლიანი მომხმარებელი წალკის რაიონის სოფელ ხანდოს მკვიდრი, სკოლის დირექტორი ოთარ ვანაძეა



საამისო მიზეზი კი „რომპეტროლის“ უკვე აქტიურ და პოტენციურ მომხმარებლებს ნამდვილად აქვთ — მენეჯმენტის განმარტებით, კომპანიისთვის გასული წელი წარმატებული იყო, მომავალ წელს კი, „რომპეტროლს“ არაერთი საინტერესო პროექტი აქვს განსახორციელებელი. კომპანიის კომერციული დირექტორის, **თენგიზ ჭიჭინაძის** თქმით: **„ბაზარზე საწვავის მოხმარების შემცირების მიუხედავად, „რომპეტროლის“ წლიური გაყიდვები, 2013 წელს 8%-ით გაიზარდა. „რომპეტროლის“ მიერ ბიუჯეტში გადარიცხულმა თანხამ 83 520 463 ლარი შეადგინა. კომპანიამ, საქართველოში შემოიტანა და ბაზარზე წარმატებით დანერგა ახალი პროდუქტი Efix S ევრო 98, რომელიც სუპერის ტიპის საწვავია და მისი გაყიდვებიც 2012 წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა. 2013 წელს ჩვენ სახელმწიფოს ვამარაგებდით ასევე საქართველოს ბაზარზე ყველაზე პოპულარული და სენსიტიური პროდუქტით Euro Regular-ით და წარმატებით შევასრულეთ ჩვენი ვალდებულება. საგრძნობლად გაიზარდა კორპორატიული კლიენტების რაოდენობაც. მნიშვნელოვანია, რომ „რომპეტროლმა“ გაიმარჯვა სახელმწიფო ტენდერში და სახელმწიფო უწყებებისთვის დიზელის მიმწოდებელი გახდა. შარშან, 7 ახალი სადგური გავხსენით, 10 სადგურზე კი, ავტომატიზაცია განხორციელდა. შესაბამისად, გაიზარდა თანამშრომლების რაოდენობაც — დაახლოებით 130-მდე ადამიანი დავასაქმეთ. ამჟამად, „რომპეტროლ საქართველოს“ ქსელი ქვეყნის მასშტაბით 72 ავტოგასამართ სადგურს აერთიანებს“.**

„რომპეტროლის“ გენერალურმა დირექტორმა, ნურკენ მუზაგალიევმა კომპანიის სამომავლო გეგმებიც გაამხილა. მისი თქმით, მიმდინარე წელს, „რომპეტროლი“ სტაბილურად და წარმატებით კვლავ განვითარდება, გააფართოებს ქსელს და სადგურებსაც განაახლებს. 2014 წლის სტრატეგიის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, „რომპეტროლის“ 15-მდე ახალი ავტოგასამართი სადგური გაიხსნება, მათ შორის, ერთ-ერთი — თბილისის ცენტრში. სოლიდური ინვესტიცია ჩაიდება სადგურების რებრენდინგში. მთავარი კი, რაც მომხმარებელს, ალბათ, ყველაზე მეტად აინტერესებს ისაა, რომ ნურკენ მუზაგალიევის მტკიცებით, კომპანია „რომპეტროლი“ მთელი წლის განმავლობაში, საწვავს დემოკრატიულ ფასად შემოგვთავაზებს.

*ნინო ლურსმანაშვილი*

სიკვდილის აუქციონი

# ვირისტყაოსანი ანუ შაურმა, რომელიც კლავს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**კვების სფეროში არსებულ სავალალო მდგომარეობაზე დებატები არ წყდება. შაურმა, რომელმაც ამას წინათ, 10 ადამიანის ინტოქსიკაცია გამოიწვია, მიკრობიოლოგიურად დაბინძურებული აღმოჩნდა. ლაბორატორიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქათმის შაურმაში მრავლად იყო მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები, კოლიფორმები, ეკოლი, სტაფილოკოკი, პროტეუსი, ობის სოკო. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, არაგეგმური ინსპექტირებისას, შპს „ლესელიძე-2014-ში“ კრიტიკული შეუსაბამობები გამოავლინა, რის გამოც საშაურმეს საწარმოო პროცესი შეუჩერა და 1000 ლარით დააჯარიმა. ამასთან, სააგენტომ 2013 წელს საშაურმეებში 54 ინსპექტირება განახორციელა, მათ შორის 29 გეგმური, 6 არაგეგმური და 19 გადამოწმება, დაჯარიმდა 4 ბიზნესოპერატორი.**

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქის სიახლოვეს, სოფელ კუმისთან მონადირეებმა ვირების სასაკლაოები აღმოაჩინეს, ვირის ჩლიქებთან ერთად, ნაპოვნია ცხენის ნარჩენებიც. როგორც მონადირეები ამბობენ, აქ ცხოველებს ფარულად ხოცავენ, ხორცი კი სარეალიზაციოდ თბილისში მიაქვთ და საშაურმეებსა და სახინკლეებში აბარებენ. ვირები, ძირითადად, კახეთიდან მოჰყავთ, რის გამოც, ბოლო დროს, კახეთში ვირი გაძვირდა.

ვირის ხორცი ისეთ ფერმენტებს შეიცავს, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისთვის მავნებელია, თერმული გადამუშავების შემთხვევაშიც კი, აქტიური კომპონენტები უცვლელი რჩება, რის გამოც, ვირის ხორცს მსოფლიოში საკვებად არსად იყენებენ...

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებს, სოფელ კუმისში აღმოჩენილ არალეგალურ სასაკლაოსთან დაკავშირებით, სააგენტო აგრძელებს ღონისძიებების გატარებას. სპეციალისტებმა ადგილზე დაათვალიერეს ე.წ. ჭალას ტერიტორია, რომელიც ნაგავსაყრელს უფრო ჰგავს, ვიდრე სასაკლაოს — იქაურობა სავსეა ცხოველების, მათ შორის, ვირისა და ცხენის ჩონჩხით. სააგენტომ აღნიშნული ფაქტის შესახებ, შემდგომი კვლევისთვის, სამართალდამცავ ორგანოებს უკვე აცნობა.

## „ძაღლისა და კატის ხორცით იკვებებით „სვეცკად“ ჩინური რესტორნების კლიენტები და ვირი გაიკვირვეთ?“

პარალელურად, სარეალიზაციო ობიექტებში გაძლიერებულია კონტროლი — შემოწმდება ყველა ის ობიექტი, სადაც ასეთი პროდუქტის მოხვედრის ალბათობაა.

მომხმარებელთა ასოციაციის ხელმძღვანელი მადონა კოიძე არ გამორიცხავს, ასეთი ხორცი გარევაჭრობის ადგილებშიც მოხვდეს, ამიტომ სურსათის უვნებლობის სამსახური ყველა იმ დაწესებულებას შეამოწმებს, სადაც ხორცპროდუქტით ვაჭრობენ. აღნიშნულ პრობლემას სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კომენტარებს ავტორთა ვინაობის გარეშე გთავაზობთ:

**„ამ ცხენის წელში ვირის ხორცს როგორ გვაპარებენ?“**

**„კატასტროფული მდგომარეობაა, რძის ნაწარმი, ხორცეული, თევზეული და ა.შ. მარილიც კი არ იჭმევა!“**

**„რახან ჭამთ და ვერ ხვდებით, კარგი ხორცი ჰქონია ვირს!“**

**„რა იყო, ახლა გაიგეთ? — ვირისა და ცხენის ხორცი წლებია იყიდება, შემოწმებული იყოს და ჯანმრთელი, თუ გინდა, დინოზავრის შაურმა და ხინკალი იყოს!“**

**„აკრძალულია კანონით ვირის ხორცის გაყიდვა? — არ არის აკრძალული, მაგრამ მყიდველმა უნდა იცოდეს, რომ ვირის ან სპილოს ხორცს ყიდულობს“.**

**„საწყალი ხალხი, კაცმა არ იცის, რა ხორცს ასაღებენ. ხინკალში რას ტენიან, არავინ უწყის. შემოწმებითაც ვერ დაადგენ, რა რაოდენობის ვირის, ცხენის ხორცი გაურიეს. ავიენები იმასაც ამბობებ, ძაღლის ხორცსაც ურევენო... დიდი ამბავი! კორეელები ჭამენ ძაღლის ხორცს“.**

**„ძაღლისა და კატის ხორცით იკვებებით „სვეცკად“ ჩინური რესტორნების კლიენტები და ვირი გაიკვირვეთ?“**

**„რამდენი დაავადებული ხორცი საღდება საქართველოში, იმდენი სიკეთე მე. გაფუჭებული და აყროლებული ეგრევე ხინკალში, სოსისში, ძეხვში, რესტორნებში, შაურმაში და ა.შ. მიდის. კაპიტალიზმი კლავს“.**

**„კომუნისტების დროს მაქვს ვირის ძეხვი ნაჭამი, უნგრული იყო, „ნაკლეიკაც“ ერტყა — ვირი ეხატა. არაყზე სულ ლიწინით წავიდა“.**

**„ცხენებსაც ასაღებენ. წმინდა სისხლის რაშს ხომ არ დაკლავენ, მოგვყიდიან ბებერ, ავადმყოფ ჯაგლაგს, ალაჭუნე მერე ეს საცოდავი და იმკითხავე, რამ გაწყინა“.**

**„ვირის ხორცს არა უშავს, მთავარია, ტვინი არ შეჭამო ვირის.“**

**„ნებისმიერი შინდისელი გააჩერეთ და ჰკითხეთ, ხორცის „დვიჟენიაში“ მკვდარ ან მომაკვდავ ვირებს აბარებდნენ ხოლმე თბილისურ „საკალბასეებს“, დაგიდასტურებენ“.**

**„მოკლედ, ექსპერტებთან ერთად უნდა იარო სახინკლეში!“**

**„1970-იანებში, სოხუმში, ყოფილმა ყაჩაღმა, რამდენიმეჯერ ნასამართლებმა ამბაკო ჯიშკარიანმა გახსნა ფაცხა, სადაც ძირითადად პარტხოზნომენკლატურული ჩინოვნიკობა და კგბ-ს მაღალჩინოსნები, თავიანთ „ნაშებთან“ ერთად დროს ატარებდნენ. გასკდა შემდეგ, რომ ამბაკო ვირისა და ძაღლის ხორცის კერძებს აჭმევდა კლიენტებს. დაიჭირეს და ისევ ციხეში გაუშვეს, ამჯერად აკრძალული კერძო მეწარმეობისა და ფულის დატაცების ბრალდებით. მოსამართლის კითხვაზე, მართალია თუ არა ვირის და ძაღლის ხორცის შესახებო, ამბაკომ არ უარყო და განაცხადა, ძაღლებს ძაღლის ხორცს ვაჭმევდი, ვირებს კი — ვირის ხორცსო. ამ საქმეს სოხუმში დიდი რეზონანსი და გამოხმაურება ჰქონდა.“**

**„სადაა იმდენი ვირი, რომ მასიურად ვირის ხორცი იყოს ბაზარზე? შეიძლება ვიღაცას მოუკვდა ვირი და ხორცი გაყიდა, მაგრამ ინდუსტრიული მასშტაბით, ვირის ხორცის ბრუნვა როგორ წარმოგიდგენიათ? ყველაფერი რატომ გჯერათ?“**

ცხადია, ამ სფეროში არსებული მდგომარეობა კრიტიკას ვერ უძლებს, კაცმა არ იცის, მოსახლეობა რით იკვებება და რა საფრთხის წინაშე აყენებს საკუთარ ჯანმრთელობას, ამიტომ კონტროლის გამკაცრება აუცილებელია.



## ნატო კავკასიაში აზერბაიჯანიდან შედის

„ნატო კავკასიაში აზერბაიჯანის მხრიდან შედის“, — ზაურ რასულზადეს ამ სტატიას ექსპერტ-ანალიტიკური ქსელი „პოლიტ რუსი“ აქვეყნებს.

**„გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან აშშ-ს გეოპოლიტიკური ექსპანსიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი პოსტსაბჭოთა სივრცე გახდა. მცდელობა, აღმოსავლეთისკენ გაფართოვდეს ერთიანი ევროპული ბაზარი და მასში ჩაერთოს „ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები“, მჭიდრო კავშირშია უფრო ფართომასშტაბიან პროექტთან — თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნასთან, რომელიც როგორც ევროკავშირის ქვეყნებს, ასევე, აშშ-ს მოიცავს“,** — წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში არსებითად შეიცვალა დასავლეთის პოლიტიკის პრიორიტეტები სამხრეთ კავკასიაში: აშშ, ევროკავშირი და ნატო ცდილობს, იქ საბრძოლო მოქმედებების აქტიური ფაზის დასრულებით, ხელები გაიხსნას ავღანეთში, ასევე, შეძლებისდაგვარად, მშვიდობიანად მოაგვაროს ირანთან ურთიერთობა მის ატომურ დოსიესთან დაკავშირებით.

სტატიის ავტორის აზრით, ზუსტად ამ გეოპოლიტიკური ბატალიების ყველაზე აქტიურ ფაზაში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ბრიუსელში გაემგზავრა და ნატო-ს შტაბბინაში ანდერს ფოგ რასმუსენს შეხვდა.

**„აზერბაიჯანი ისწრაფვის, მომავალში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახლო და საიმედო პარტნიორი იყოს“**, — განაცხადა ალიევმა ნატო-ს გენმდივანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის საჰაერო სივრცის გავლით, ავღანეთში ნატო-ს სამხედრო ტვირთები მიდის და ასევე მონაწილეობს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების მომზადებაში.

**„აზერბაიჯანი, ზედმეტი ხმაურისა და სკანდალის გარეშე თანდათან ნატო-ში ინტეგრაციას ახდენს. ამ იდეამ პოპულარობა აზერბაიჯანში ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში მოიპოვა. 1994 წელს კი ბაქო უკვე იყო წევრი პროგრამისა — „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. მას შემდეგ ნატო-ს სპეციალისტები ბაქოს სამხედრო დაგეგმარებაში, სამოქალაქო თავდაცვის სისტემის შექმნასა და სხვა ამგვარ პროცესებში ეხმარებიან. ყოველივე ეს სამხედრო-პოლიტიკური ინფორმაციის გაცვლის სანაცვლოდ ხდება.**

**განსაკუთრებულ იმედებს ამყარებენ პროგრამაზე — „კასპიის მცველი“, რომლის შტაბბინა ბაქოსთან ახლოს მდებარეობს. პროგრამა კასპიისპირა ქვეყნებში ნავთობსადენებზე და ნავთობსაწარმოებზე საგანგებო ვითარებაში, მათ შორის დივერსიების შემთხვევაში ოპერატიული რეაგირების მობილური ჯგუფების ქსელის შექმნას ითვალისწინებს“,** — ნათქვამია სტატიაში.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***




## ბათუმში ბიზნესმენი მოკლეს

ბათუმში ბიზნესმენის მკვლელობასთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ბათუმში, რუსთაველის ქუჩაზე საკუთარ ბინაში ევგენი კოზლოვიჩი ახლობლებმა მოკლული იპოვეს. ევგენი კოზლოვიჩი მერვე სართულზე მეუღლესა და მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა ისინი ბოლო პერიოდში საქართველოში არ იმყოფებოდნენ. მკვლელობა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით მოხდა. ცხედარს მრავლობითი ჭრილობა აღენიშნება.

40 წლამდე ასაკის ბიზნესმენს ძველი ბათუმის ტერიტორიაზე რესტორანი „ბათუმი“ და ლუდის ბარი „ლუდი კოზლოვიჩი“ ჰქონდა.

***„ინტერპრესნიუსი“***

# რეალური მიზეზი, რის გამოც „მაესტროზე“ პოლიტიკური თოქშოუები დაიხურა



სად არის ნინო ჟიჟილაშვილი, რატომ არ აძლევს პრემიერი „მაესტროს“ ინტერვიუს, რისთვის იხდის ბოდიშს და „გამიშისტდა“ თუ არა მამუკა ღლონტი

რუსუდან შელია
557-100-768

**ტელეკომპანია „მაესტროზე“ ორი პოლიტიკური თოქშოუ — „არგუმენტები“ და „პოლიტმეტრი“ დაიხურა, საინფორმაციო არხი „მაესტრო 24“ კი სახელწოდებასა და ფორმატს იცვლის. მამუკა ღლონტის განცხადებით, რეორგანიზაციის მიზეზი საღამოს 9-საათიანი საინფორმაციო პროგრამის გასაძლიერებლად ინტელექტუალური რესურსის მობილიზება გახდა... რატომ უხდის საზოგადოებას ბოდიშს და რა მიზეზით ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი „მაესტროში“ სტუმრობაზე უარს? — ამის შესახებ „ვერსიას“ რადიო „მაესტროს“ დირექტორი მამუკა ღლონტი ესაუბრა.**

— მართალია, „მაესტროზე“ ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემა დაიხურა, მაგრამ იგი დავაწინაურეთ და საინფორმაციო გამოშვების კურატორად დავნიშნეთ. სხვათა შორის, დიდი ხანია, 9-საათიანი საინფორმაციო გამოშვების ფორმატის შეცვლაზე ვფიქრობთ და ვახო სანაიაც ჩვენს არხზე სწორედ ამ მიზნით მოვიწვიეთ. მიგვაჩნია, რომ ეთერში ათი ცუდი პოლიტიკური თოქშოუს გასვლას, ერთი, მაგრამ რეიტინგული გადაცემის მომზადება სჯობს.

**— თავის დროზე, ნინო ჟიჟილაშვილს არხის ერთ-ერთ წამყვან ჟურნალისტად ასახელებდით და ახლა აღმოაჩინეთ, რომ ცუდ გადაცემას ამზადებდა?**

— ნინო ჟიჟილაშვილის გადაცემა ღამის 11 საათზე გადიოდა, ეს დრო კი პოლიტიკური თოქშოუსთვის არცთუ მომგებიანია. რატომღაც ზოგიერთმა კოლეგამ, „მაესტროში“ დაგეგმილი ცვლილებების გამო, „რუსთავი 2“-ს შეგვადარა, თუმცა ეს ტელევიზია ყოველთვის მხარე იყო, ჩვენ კი პოლიტიკური პოზიცია არასოდეს დაგვიფიქსირებია, თანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, პოლიტიკურ თოქშოუებს კი არ ვხურავთ, საინფორმაციო გადაცემას ვაძლიერებთ. პოლიტიკური ხაზის შესუსტება რომ გვინდოდეს, პოლიტიკურ ჟურნალისტ ვახო სანაიას, მთელი თავისი ჯგუფით, რატომ მოვიწვევდით?!

**— ერთი საინფორმაციო გამოშვებით ორი პოლიტიკური თოქშოუს კომპენსირება როგორ წარმოგიდგენიათ?**

— ჩვენი იდეა საინფორმაციო გამოშვებისა და პოლიტიკური თოქშოუს ნაზავს გულისხმობს — ახალ ამბებთან ერთად, მაყურებელს სიუჟეტის მთავარი გმირისგან დეტალურ ინფორმაციას მივაწვდით. არ მინდა, ყველა კარტი გავხსნა, თუმცა იმედი მაქვს, მაყურებელი ჩვენს შეთავაზებას მოიწონებს.

**— თუ ტელევიზია პოლიტიკურ ხაზს აძლიერებს, რატომ გადაწყდა „მესტრო 24“-ისთვის სახელწოდების შეცვლა და საინფორმაციო გამოშვების გასართობი შოუებით ჩანაცვლება?**

— „მაესტრო 24“-ის შენახვის სახსრები არ გვაქვს. როცა ახალ რეალობაში აღმოვჩნდით და სარეკლამო ბაზარი გათავისუფლდა, დამკვიდრდა პრინციპი — არ გაქვს ფული, არ გაქვს ტელევიზია, რაც, ჩემი აზრით, დადებითი მოვლენაა. თავის დროზე, ჩავთვალეთ, რომ საზოგადოებისთვის „მაესტრო 24“-ით ქვეყანაში და მის ფარგლებსგარეთ მომხდარი ინფორმაციების უწყვეტ რეჟიმში მიწოდება გაამართლებდა, თუმცა არხს მხოლოდ 0.05%-იანი რეიტინგი ჰქონდა ანუ ვხურავთ ტელევიზიას, რომელსაც, პრაქტიკულად, არავინ უყურებს. ვფიქრობთ, რეორგანიზაციის შემდეგ არხს მაყურებელიც მეტი ეყოლება.

სხვათა შორის, ნაციონალები „მაესტროს“ გაოცებულნი უყურებენ, რადგან ვერ ხვდებიან, ხელისუფლებას რატომ ვაკრიტიკებთ. რატომღაც მიაჩნდათ, რომ მაშინდელი ოპოზიციური ძალის შეკვეთების შემსრულებლები ვიყავით. მეორე მხრივ, „ქართული ოცნებაც“ გაოგნებულია — „მაესტრო“ სხვანაირი გახდაო. „ქართულ ოცნებაში“ ჩვენს მიმართ რატომღაც სხვა მოლოდინი ჰქონდათ, მაგრამ „მაესტრო“ არჩეულ კურსს არასოდეს უღალატებს — ვცდილობთ, საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია მივაწოდოთ, ხელისუფლებას კი სუსტი წერტილები დავანახოთ — ხელისუფლების ქება-დიდება სხვა სპეციალობაა და ჩვენთან კავშირში არ არის. რატომღაც „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ ხელშეუხებელია და მისი კრიტიკა არ შეიძლება, ეს დამოკიდებულება ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც საჯაროდ დააფიქსირა, როცა ტელევიზიის კონკრეტულ ჟურნალისტებზე ნეგატიურ კონტექსტში ისაუბრა. პრემიერ-მინისტრის რანგში ბიძინა ივანიშვილს ეს არ უნდა ეთქვა, მით უმეტეს, იმ ადამიანებზე, რომლებმაც ნაციონალური მოძრაობის პირობებში, საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად იმუშავეს. სხვათა შორის, „მაესტროს“ გადაცემებში მონაწილეობაზე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც უარს აცხადებს.

**ირაკლი ღარიბაშვილს მივმართავ, რომ სპეცსამსახურებზე მომუშავე ტელევიზიის ნაცვლად, რეალური მედიასაშუალებები დააფასოს. როგორც ვიცი, ბოლოს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის თანამშრომლებმა განგვიცხადეს, ირაკლი ღარიბაშვილს ურჩევნია, ინტერვიუ „მაესტროზე“ რეიტინგულ ტელევიზიებს მისცესო. როგორც ჩანს, ბევრს უკვე დაავიწყდა დრო, როცა აზრის გამოხატვის ერთადერთი საშუალება „მაესტრო“ იყო, თუმცა ასეთი პოლიტიკოსები „მაესტროს“ საჭიროებას მალე კვლავ იგრძნობენ.**

**— პრემიერის გარდა, კონკრეტულად, კიდევ რომელ პოლიტიკოსებს გულისხმობთ?**

— მათი ვინაობის დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ფაქტია: ეს ადამიანები თავადვე დაზარალდებიან, ობიექტურ მედიაზე კი პოლიტიკოსები ნეგატიურ გავლენას ვერ მოახდენენ. ჩვენი ბრალი არ არის, სიმართლე ოპოზიციის წისქვილზე თუ ასხამს წყალს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მხარე ვიყავით, ახლა რატომ შევიცვალეთ? „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ არასოდეს გვიმუშავია, მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას ვამხელდით, თუმცა შეცდომის დაშვების შემთხვევაში, ბოდიშის მოხდაც არ მეთაკილება.

**ვაღიარებ: „საკანი“, მართლაც, დიდი შეცდომა იყო, თუმცა მას შემდეგ „მაესტრო“ აბსოლუტურად შეიცვალა და კონკრეტული პოლიტიკოსის მხარდამჭერი არასოდეს გამხდარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბიძინა ივანიშვილი და მინისტრები ჩვენი მუშაობით უკიდურესად უკმაყოფილონი არ იქნებოდნენ და არც რადიკალურად მოაზროვნე მოქალაქეები გვიწოდებდნენ „მიშისტებს“.**

ჩვენ ასეთი მენტალობა არ გვაქვს, თუ „მაესტროზე“ ჟურნალისტები პირად აზრს გამოხატავენ, მათ გადაცემასაც შესაბამისი სახელწოდება აქვს — სუბიექტური აზრი. კი ბატონო, პირველ ოქტომბრამდე „ქართული ოცნებისგან“ დაფინანსებას ვიღებდით, თუმცა არჩევნების შემდეგ მისგან თეთრიც არ მიგვიღია, რადგან თავს უუნაროდ არ მივიჩნევთ.

**— იქნებ, სწორედ ბიძინა ივანიშვილისგან მიღებული სოლიდური დაფინანსების გამო მიგიჩნევთ „ქართული ოცნება“ დავალებულ მედიასაშუალებად?**

— შესაძლოა, „ოცნების“ ბევრ წევრს, მართლაც, ეგონა, რომ მათი ძმები ვიყავით, მაგრამ „მაესტრო“ მხოლოდ პროფესიულ სინდისთან მეგობრობს. როგორც გითხარით, პირველი ოქტომბრის შემდეგ დაფინანსებას მხოლოდ მაკა ასათიანისგან ვიღებთ, რაც ვალია და უკანვე უნდა დავუბრუნოთ. არჩევნებამდე კოალიციისგან დაფინანსება რომ არ მიგვეღო, ტელევიზიის დახურვა მოგვიწევდა, რადგან ჩვენთვის სარეკლამო სივრცე დახურული იყო და არსებობის საშუალებას არ გვაძლევდნენ. ახლა ყველაფერი შეიცვალა — „მაესტროში“ სარეკლამო შემოსავალი გაიზარდა.

**— თქვენ რატომ არ მონაწილეობთ „მაესტროს“ მართვაში? ამბობენ, რომ გია გაჩეჩილაძემ ტელევიზიიდან წასვლა „გირჩიათ“...**

— მას შემდეგ, რაც საშიშროებას აღარ ვგრძნობ და არც იმაზე ვფიქრობ, საკუთარი სიცოცხლე როგორ დავიცვა, ჩემს საყვარელ საქმეს დავუბრუნდი — ყოველდღიურ, კომედიურ სერიალს ვწერ, რომელსაც, თუ შესაძლებლობა გვექნება, გადავიღებთ კიდეც. რაც შეეხება გია გაჩეჩილაძეს, მართალია, „მაესტროს“ განვითარებასთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა, მაგრამ ერთმანეთის დაუძინებელი მტრები არასოდეს ვყოფილვართ, თანაც მისი კუთვნილი 25% ტელევიზიაზე გავლენას ვერასოდეს მოახდენს.

# „ან წავიდნენ აქედან, ან გზას გადავკეტავთ!“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

## RMG GOLD-ს დიდი დმანისის მოსახლეობაც უპირისპირდება და ოქროს მოპოვების შეჩერებას ითხოვს

**ოქროს მომპოვებელ კომპანია „ერემჯი გოლდს“ საყდრისის წარმოებასთან ახლოს მდებარე სოფლებიც უპირისპირდება — ბალიჭის, მაშავერასა და დიდი დმანისის მოსახლეობა აფეთქებებსა და ჰაერის დაბინძურებას უჩივის. ადგილობრივები შესაბამის კომპენსაციასითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოების დახურვის მოთხოვნით, გზის გადაკეტვას გეგმავენ.**

RMG GOLD-ის გარშემო უკმაყოფილოთა წრე დღითიდღე იზრდება — კომპანიას, საყდრისის უძველესი საბადოსადმი უდიერი დამოკიდებულებისთვის, სპეციალისტებსა და არასამთავრობოებთან ერთად, კულტურის სამინისტროც დაუპირისპირდა. ამის შემდეგ, კომპანიის ხელმძღვანელი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს შეხვდა და საკუთარი გასაჭირი მოახსენა. ამ ფონზე, „ვერსია“ საყდრისის მეზობელ სოფელ დიდ დმანისს ესტუმრა — RMG GOLD ოქროს მოპოვებით სამუშაოებს დიდი დმანისის მთის კალთაზეც აწარმოებს. ადგილობრივების თქმით, აფეთქების ხმა მშვიდი ცხოვრების, მტვერი კი თავისუფლად სუნთქვის საშუალებას არ იძლევა; ამასთან, საწარმოო სამუშაოებმა აბურბუქის ტყესთან ბუნებრივად მომავალი წყლის არხი დააზიანა, რის გამოც ხალხი მინდვრებს ველარ რწყავს.

**ლიანა ქოჩორაძე: „საღამოობით მთაზე აფეთქება იწყება, ხმა და მტვერი სოფლამდე აღწევს და ყველაფერი მტვერში ეხვევა... ხეხილი ნელ-ნელა ხმება, რასაც ოქროს მოპოვებას ვუკავშირებთ. წვიმის შემდეგ, მინდვრები თეთრი ტალახით ივსება და შეუძლებელია, ამან გარემოსა და ხეხილზე არ იმოქმედოს. რაც ეს წარმოება დაიწყო, უჰაერობა და გულის პრობლემები ბევრს აღენიშნება. აფეთქებით სახლებს ბზარები უჩნდება... ჩვენს ახალგაზრდებს წარმოებაში არ ასაქმებენ და მუშახელი სხვა ადგილებიდან მოჰყავთ. მოგვაქციონ ყურადღება და კომპენსაცია მოგვცენ!“**

**შამილ მარტიაშვილი: „სოფელში თუთის ხეებიც კი გახმა და წარმოიდგინეთ, ხალხს რა მოუვა... აქ ცხოვრება უკვე შეუძლებელია, ეს წარმოება ცოცხალი ბომბია — მტვერი ჯანმრთელობას გვიზიანებს, ველარ ვსუნთქავთ, ბევრს ჩიყვი გაუჩნდა. მანდ, წარმოებასთან ახლოს, მამაპაპური წყლის არხი გვქონდა, აბურბუქის ტყიდან იწურებოდა და მოსარწყავად რამდენიმე ჰექტარს ჰყოფნიდა, მაგრამ ახლა, წარმოების გამო, წყალი დაშრა“.**

**მიხეილ მარტიაშვილი: „ჩვენი მიწები კაპიკებში შეისყიდეს, ახლა კი უნდათ, მოგვატყუონ და დარჩენილი მინდვრებიც შეიძინონ. პატრონი არ გვყავს, რომ გვერდში დაგვიდგეს და ჩვენი თავი არავის დააჩაგვრინოს. ადგილობრივი ხელისუფლება ძველი ანტენასავითაა, რომ მოფამფალდება და აღარ იცის, საით გადაიხაროს. სოფლის რწმუნებული რაიონის გამგეობაში გარბის, იქ ყველაფერზე ეუბნებიან, კი ბატონო, გავაკეთებთო, მაგრამ შედეგი ნულია...**

**სამჯერ შეგვხვდნენ კომპანიის თანამშრომლები კომპენსაციასა და შესყიდვაზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ კვადრატულ მეტრში დოლარზე მეტს არ გვაძლევენ — ოთხი წელია მოლაპარაკება უშედეგოდ მიდის. ან წავიდნენ აქედან, ან გზას გადავკეტავთ. ახალგაზრდებს ვეუბნები, სანამ ადრეა, აქაურობას გაასწარით-მეთქი. შარშან სანავთობე ნიშნებიც დადგეს და შეიძლება, ნავთობის მოპოვებაც დაიწყონ“.**






„ერემჯი გოლდი“ საჯარო განცხადებებში ხაზს უსვამს, რომ კომპანია გარემოს დაცვის ყველა ნორმას აკმაყოფილებს, მაგრამ დიდიდმანისელები ყურადღებას, როგორც ნახეთ, საწინააღმდეგოზე ამახვილებენ. თუ ეს ხალხი კომპენსაციას ვერ მიიღებს და წარმოებისგან გარემოზე მიყენებული ზიანი მაქსიმალურად არ აღმოიფხვრება, ოქროსმომპოვებელ კომპანიას კარგი ცხოვრება გარანტირებული არ ექნება. სამართლიანად უკმაყოფილოთა რიცხვი მატულობს და გაფუჭებულ საქმეს ვერც კომპანიის უსაფრთხოების სამსახურის მიერ გზისპირა ბილიკების „გამაგრება“ უშველის და ვერც კულტურის სამინისტროსთან „ერემჯი გოლდის“ თანამშრომელთა მიერ გამართული საპროტესტო აქციები, რომლებიც ითხოვენ, კომპანიას ნორმალურად მუშაობის საშუალება მიეცეს.



# რატომ თქვა ხელისუფლებამ უარი მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებაზე

## უფლებადამცველები „ოცნებას“ „ადეიშვილის სიბრძნის“ ლობირებაში ადანაშაულებენ

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

**მოწმის დაკითხვის წესის კვლავ გადავადებამ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილში ღია უკმაყოფილება გამოიწვია. პარლამენტმა, 71 ხმით 25-ის წინააღმდეგ, მიიღო გადაწყვეტილება ახალი წესის ამოქმედების ორი წლით, 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადების თაობაზე და ეს მაშინ, როცა ამ გადაწყვეტილებას უფლებადამცველი ორგანიზაციები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან.**

მოწმის დაკითხვის ახალი წესი, რომელიც 2009 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განისაზღვრა, გამოძიების პროცესში, მოწმის მხოლოდ მოსამართლის წინაშე დაკითხვას, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანდასწრებით ითვალისწინებს. ამ წესის ამოქმედება 2013 წლის 31 დეკემბრიდან იგეგმებოდა, თუმცა კიდევ ორი წლით ძალაში დარჩა მოქმედი წესი, რომლითაც მოწმეები ვალდებულნი არიან, ბრალდების მხარეს მისცენ ჩვენება გამოძიების ეტაპზე, დაკითხვაზე გამოუცხადებლობას კი, შესაძლოა, სამართალდამცველ ორგანოებში მათი იძულებით მიყვანა ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვეს.

მთავრობის განცხადებით, ამ წესის კიდევ ორი წლით შენარჩუნება იმითაა განპირობებული, რომ, ერთის მხრივ, სასამართლო სისტემა ახალი პროცედურებისთვის მზად არაა და, მეორეს მხრივ, ეს ხელს შეუშლის გამოძიების ეფექტურად წარმართვას.

შს მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, მოწმეთა მხოლოდ სასამართლოში დაკითხვის წესის ამოქმედება პროცესის გამჭვირვალობას, შეჯიბრებითობასა და სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას ხელს კი არ შეუწყობს, სამართალდამცავ სისტემას შეასუსტებს.

საჭიროა ისეთი დაბალანსებული მოდელის შემუშავება, რომლითაც როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარე თანაბარ პირობებში ჩადგება და შეჯიბრებითობის პრინციპი უზრუნველყოფილი იქნება. იზორია აცხადებს, რომ მოწმეთა სასამართლოში დაკითხვის მოდელის ამოქმედება გამოძიებას დააზარალებს და ყურადღებას კადრების მოუმზადებლობაზეც ამახვილებს.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის შეფასებით, მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის ამოქმედებით, სისტემა ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდება: **„მოწმეთა დაკითხვის მოქმედი წესი სწორად არ მიმაჩნია და აუცილებლად უნდა შეიცვალოს, მაგრამ, როდესაც არგუმენტები მოვისმინე, თუ რატომ არ უნდა ამოქმედდეს ახალი მოდელი, დავინახე, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოვჩნდებით — შეიძლება გამოძიება სრულიად პარალიზებული გახდეს. მოწმეთა ასეთი დაკითხვისთვის აბსოლუტურად მოუმზადებელია სასამართლო სისტემა. შეგიძლიათ, ნახოთ სტატისტიკა, რამდენი დანაშაულია ჩადენილი, ასევე მაგისტრანტი მოსამართლეების რაოდენობა, ვისი თანდასწრებითაც მოწმეთა დაკითხვა უნდა მოხდეს. თუ მოწმეებმა გამოძიებისთვის ჩვენების მიცემაზე უარი თქვეს, შეიძლება, მოხდეს სისტემის პარალიზება და აღმოვჩნდეთ ვითარებაში, როდესაც დანაშაული, უბრალოდ, გამოუძიებელი დარჩება“.**

კვალიფიციურ არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფის (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, კონსტიტუციის 42-ე მუხლი) პოზიცია კი ასეთია: **„მოწმის დაკითხვის ახალი წესის 2015 წლის 31 დეკემბრამდე გადავადება, ცალსახად, უარყოფითია, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს; ამასთან, აღნიშნული ცვლილება შეაფერხებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განვითარებას და კიდევ ერთხელ გაახანგრძლივებს სისხლის სამართლის პროცესში მხარეების არათანასწორ მდგომარეობას“.**

უფლებადამცველთა თქმით, ახალი წესის ამოქმედების პერმანენტული გადავადება **„ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს მთავრობის ნებას, დაამკვიდროს ადამიანის უფლებების დაცვის აღიარებული სტანდარტები, საზოგადოებაში კი უსამართლობის შეგრძნებას ამკვიდრებს“.**

ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი ზაზა ხატიაშვილი მთავრობას, პრემიერ-მინისტრს „სამოქალაქო საზოგადოების განადგურებაში“ ადანაშაულებს:

**„ყველა უბედურების, ადამიანის ტანჯვის საწყისი ისაა, რომ მოწმედ დაბარებული პირი მიჰყავთ პოლიციაში, აწამებენ, ხელს აწერინებენ ჩვენებაზე და შემდეგ, თუ ეს საცოდავი ჩვენებას ცვლის, ეგრევე სასამართლო დარბაზიდან აჰყავთ. თუ ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას მისცემს, მაინც პასუხისგებაში აძლევენ. პრემიერმა ღარიბაშვილმა ეს დატოვა, რადგან ზურა ადეიშვილის ეს „სიბრძნე“ მოეწონა“.**

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ლიდერის, **გელა ნიკოლაიშვილისთვის** ასევე მიუღებელია შსს-ს პოზიცია: **„ძალაში დარჩა მდგომარეობა, რაც გუშინ და 10 წლის წინ გვქონდა. სამწუხაროდ, პარლამენტი ხშირად იზიარებს აღმასრულებელი ხელისუფლების, მთავრობის პოზიციას. როდესაც მთავრობა ამბობს, ამისთვის მზად არ ვართო, პარლამენტი ვერ ბედავს, წინ აღუდგეს“.**

ერთი შეხედვით, ყველაფერი ცხადზე უცხადესია — მოწმეთა მხოლოდ მოსამართლის წინაშე, ბრალდებისა და დაცვის მხარეთა თანდასწრებით დაკითხვა, პრაქტიკულად, გამორიცხავს ძალადობრივ პრაქტიკას, რომელიც წლების განმავლობაში არსებობდა, მაგრამ ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, ამ ელემენტარული და აუცილებელი რეფორმის განხორციელებაც დიდ წინააღმდეგობას აწყდება. არადა, დრო არ ითმენს, ქვეყანა სადავო სისტემის ლაბირინთებში რჩება.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 9 | | 5 | | |
| | | 7 | 5 | | 1 | 8 | 9 | |
| | 5 | | | | | 7 | 2 | |
| | 6 | | | 9 | | | | |
| | | 5 | 3 | | 6 | 2 | | |
| | | | 7 | | | | 5 | |
| | 3 | 9 | | | | | 4 | |
| | 7 | 6 | 1 | | 4 | 9 | | |
| | | 4 | | 6 | | | 3 | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 8 | | 7 | | | |
| 4 | 3 | | | | 1 | | | |
| | | 7 | | 5 | 2 | | | |
| | | 1 | | | 4 | | | 2 |
| 7 | 2 | | | | | | 4 | 3 |
| 6 | | | 7 | | | 1 | | |
| | | | 6 | 7 | | 9 | | |
| | | | 2 | | | | 1 | 7 |
| | | | 5 | | 9 | | | 6 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | | 3 | 9 | | 2 | |
| 7 | | | 2 | | | 4 | | |
| | | | | 6 | | | | 5 |
| | | | | | | 2 | 1 | |
| 9 | | 3 | | | | 8 | | 6 |
| | 2 | 7 | | | | | | |
| 3 | | | | 7 | | | | |
| | | 2 | | | 6 | | | 4 |
| | 6 | | 4 | 9 | | | 5 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 2 | 1 | | | 9 | | 5 |
| | 9 | | | | 4 | | | |
| | | | | | | 9 | 1 | 8 |
| 8 | | | | 4 | | 5 | 3 | |
| 6 | | | | | | | | 4 |
| | 5 | 4 | | 3 | | | | 2 |
| 3 | | 7 | 9 | | | | | |
| | | | 4 | | | | 8 | |
| 9 | | 1 | | | 8 | 2 | | 3 |



1. ლითონის ჩასაბერი საკრავი
2. სამგლოვიარო ხასიათის მუს. ნაწარმოები
3. გავეღურებული შინაური ცხენი
4. სამგრელოს სამთავროს მეორე სახელწოდება
5. გაკოტრებული პირი
6. იტალიელი კინორეჟისორი
7. იაპონური თეატრის სახეობა
8. სავსებით სხვისი მსგავსი ადამიანი
9. ბგერის შემსწავლელი ფიზიკის დარგი
10. ახალი ქვის ხანა
11. ახლად ფეხადგმული ბავშვის სიარული
12. დიდი გერმანელი კომპოზიტორი
13. მამაკაცის დაბალყელიანი ფეხსაცმელი
14. ცილისწამება
15. აბაზი ანუ ... კაპიკი
16. მოქმედებათა ერთობ. ამოცანის ამოსახსნელად
17. ჯოჯოხეთის ცეცხლი
18. ფრანკენ-შტეინის ლიტერატურული „დედა“
19. სარკოზის სახელი
20. მოდური, პოპულარული სიმღერა
21. ქიმიური ელემენტი, ფოლადისფერი მაგარი ლითონი
22. სომალის დედაქალაქი
23. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა
24. ... ისაკიჩ მეჯღანუაშვილი
25. ანძა – ძვ. ქართულში
26. დეკორატიული ხვიარა ყვავილი
27. ფაშისტთა საკონცენტ. ბანაკი
28. მუსლიმანთა ღმერთი
29. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
30. ქართული ანბანის I ასო
31. მცენარე, რომელსაც მერქანი არ აქვს
32. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
33. ლითონის თხელი ფურცელი
34. თვალის ფერადი გარსი
35. წყალქვეშა კლდე
36. საფქვილე ყუთი წისქვილში
37. ებრაელთა მოძღვარი
38. ნაბიჯი ბალეტში
39. თიხის ტაფა
40. წრეხაზის ფორმის საგანი
41. ინდონეზიის კუნძული
42. ასტრონომიის მუზა
43. იგივეა, რაც ალკოჰოლიკი
44. შავი ფისი
45. ალეგორიული მოთხრობა
46. „ძე“- არაბულ გვარებში
47. კომედიის მუზა
48. კომკავშირის აბრევიატურა
49. გაზაფხულის ყვავილი
50. ჯოჯოხეთის დარაჯი სამთავიანი ძაღლი
51. ღამის ფრინველი
52. მუშკეტერ ათოსის მსახური დიუმას ცნობილ რომანში
53. მწერალი ქენძაბურო ...
54. ცელქი, მოუსვენარი
55. ორი წერტილი კამათელზე
56. (ძვ.) ძვირფასი სკამი
57. კიმონოს შესაკრავი ქამარი
58. ზნე, ხასიათი
59. პატარა ტყე მინდორში
60. ძროხის ბარკლის ნაწილი
61. ლურჯი საღებავი
62. იარაღის მთავარი საწყობი
63. დასტურის გამომხატველი ზრდილობიანი სიტყვა ქართულში

# მამაკაცს თავი იესო ჰგონია



66 წლის ბრაზილიელი მამაკაცი, ალვარო ტეისი დარწმუნებულია, რომ იესო ქრისტეს რეინკარნაციაა და ბოლო 35 წელია „ქადაგებს“. ტეისს ათასამდე მიმდევარი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და მას მოიხსენიებენ, როგორც ინრი ქრისტოს. ალვარომ 1979 წლიდან დღემდე 27 ქვეყანაში იმოგზაურა, პროფესიით ფილოსოფოსი ბრაზილიურ სატელევიზიო გადაცემებშიც მონაწილეობს და ექსცენტრული გამოხტომებით დასავლური მედიის ხშირი სტუმარიც გახლავთ. ქრისტეს „რეინკარნაციის“ მიმდევრების უმრავლესობა მანდილოსანია, მათგან ყველაზე ახალგაზრდა 24 წლისაა და ინრის მოწოდებებს 2 წლის ასაკიდან ისმენს. იესოს მსგავსი სამოსის ტარებისა და აბორტის თემაზე სხვადასხვა განცხადებების გაკეთებისთვის ალვარო პოლიციას 40-ჯერ ჰყავს დაკავებული. ვიცი, ბრაზილიასა და მსოფლიოში უამრავი ადამიანი ჩემსავით ფიქრობს, რაც შეეხება შობას — ეს, უბრალოდ, დღეა, როცა მდიდარი ღარიბს შეურაცხყოფს. ამ დღეს მდიდარი ოჯახისშვილები საჩუქრებით ტრაბახობენ, ღარიბები კი პურის ნამცეცებს იღებენ, — აცხადებს მამაკაცი.

1. ახალი წლის სიმბოლო, ბურბუშელებად გათლილი ხის ჯოხი
2. ფელამუშში ამოვლებული ნიგვზის აცმა
3. იაპონელი ფერმწერი, გრავიურების ოსტატი
4. ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი
5. ქართული ტრადიციული კერძი
6. ყურის შიგნითა ნაწილი
7. აქლემის „ატრიბუტი“
8. ჩინეთის უდიდესი ქალაქი
9. ზვიგენის მეორე სახელწოდება
10. მელვინეობის ქართული წარმართული ღვთაება
11. პურის მცხობელი
12. ნარკოტიკული ნივთიერება
13. კონტინენტებს შორის მოქცეული წყლის სივრცე
14. ზღვის გადაშენებული ქვეწარმავალი
15. დარტყმის შედეგად ამობურცული ადგილი შუბლზე
16. მსხვილ ფეხა ცხოველი
17. ხეზე მომუშავე ხელოსანი
18. სამხედრო შარვლის ფორმა
19. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
20. კენტჩლიქიან ცხოველთა ინფექციური დაავადება
21. აბრეშუმის ჭიის „საყვარელი“ ხე
22. ქალიშვილის ან დის ქმარი
23. იგივეა, რაც თაღი
24. პანტომიმის მსახიობი
25. ხასიათი, ნირი
26. ბარით მოჭრილი მიწის ნაჭერი
27. ფოსო მკლევის ტანთან შეერთების ადგილზე
28. სანტა კლაუსის სამშობლო
29. საეკლესიო პროვინციის მთავარი ქალაქის მთავარეპისკოპოსი
30. სოფელი შიდა ქართლის მხარის კასპის რაიონში
31. წყლიანი ადგილი უდაბნოში
32. ავტომობილი ბავშვის ენაზე
33. რუსეთის სიგრძით მეოთხე მდინარე
34. მაჟორის საპირისპირო სიტყვა
35. ინგლ. მომღერალი ... უაინჰაუსი
36. მოდების პოპულარული ჟურნალი
37. წილი საერთო საქმეში
38. იტალიური ავტომარკა
39. გოგოს მოსახსენიებელი დამცინავი სიტყვა
40. უფლის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ ღვთისმსახურ.
41. ფრანგული წითელი ღვინო
42. ტერფზე ამოსაკრავი დაკბილული რკინა
43. უცხო ქვეყანაში შესვლის ნებართვა
44. საყვავილე ან საკანფეტე ლარნაკი
45. ლატვიის დედაქალაქი
46. სპორტული ნაწარმის ფირმა
47. ქალაქ კუიბიშევის ახლანდელი სახელწოდება
48. ანტილოპას სახეობა
49. მექსიკელი კინომსახიობი ... კასტრო
50. დაბალი ხარისხის, ცუდი
51. ტკივილის გამომხატველი შორისდებული
52. ნანა მჭედლიძის „... ესკიზები“
53. კოკაზე მაღალი შეფასება ძიუდოში
54. სოფელი სენაკის რაიონში
55. შვეიცრების ფორმის ტანსაცმელი
56. მარინა ვლადის რუსი ქმარი
57. შეჯიბრება ავტომობილებით რბოლაში
58. ჩიტი – ძველ ქართულში
59. ვაზის დაავადება, ჭრაქი
60. აზნაური ესპანეთში
61. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
62. დაავადების განვითარების უმაღლესი მწვერვალი
63. ყოველგვარი სიამოვნების უარმყოფელი ადამიანი
64. ბრიტანელი და ირლანდიელი კელტების ქურუმი
65. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
66. ინის მეწყვილე ჩინურ ფილოსოფიაში
67. შილერის ყაჩაღი ძმების გვარი
68. მსახიობი ... მერფი
69. დიდი ზომის მღრღნელი
70. რვა საფეხურიანი ინტერვალი მუსიკაში
71. იაპონელი კინოკლასიკოსი ... კუროსავა
72. მიმართვა ფრანგი ქალბატონისადმი
73. პინოქიოს ლიტერატ. „მამა“
74. დიდი ქვა
75. ზევსის დედა
76. ფარნავაზის მტერი
77. კომპოზიტორი ... კალმანი
78. ლითონის ფულის ერთეული
79. მუსიკ. ბგერების წყვეტილად შესრულება
80. თეთრი ცეცხლგამძლე თიხა
81. ინდონეზიის კუნძული
82. ძრავის ნაწ.



# საჭმელი მადას დაგაკარგვინებთ



უცხო ქვეყანაში ჩასული ტურისტისთვის, ქვეყნის ღირსშესანიშნაობათა რიცხვში ადგილობრივი გასტრონომიაც შედის. ახალი გემო სუნამოსავითაა და ახალ შთაბეჭდილებას გვჩუქნის, მაგრამ ხშირად, კვების კულტურათა შორის სხვაობა გაუთვალისწინებელ პრობლემებსაც წარმოქმნის. მაგალითად, ყველას არ შეუძლია, მიირთვას ტაივანური მატლები, თუმცა ისეთი მოგზაურებიც არსებობენ, რომლებიც მზად არიან ასეთი ექსპერიმენტებისთვის და მათ განწყობას ვერ გაუფუჭებს გამოცემა Greendaily-ს მიერ შედგენილი რეიტინგი, რომელშიც მსოფლიოს 15 ყველაზე საზიზღარი კერძი შევიდა. სიის ლიდერია გველის სისხლი, რომელსაც კუნძულ იავაზე მოგართმევენ. ვერცხლის პრიზიორი შემწვარი მორიელებია — მათი გასინჯვა ჩინეთში, ვიეტნამსა და აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც შეიძლება. ტაილანდში ჩასულ ტურისტებს ვირთხებს სთავაზობენ, რომელთაც ენაცვლება იხვის მოხარშული კვერცხი, რომელშიც ჩანასახი უკვე ჩამოყალიბებულია (ფილიპინებსა და კამბოჯაში ეს კერძი დიდი პოპულარობით სარგებლობს), ბრინჯის ღვინო თაგვებით (ჩინეთი და კორეა), ესკამოლესი — გიგანტური წითელი ჭიანჭველების კვერცხები (მექსიკა), ყავა ცივეტებისგან, რომელსაც ინდონეზიური კატების ექსკრემენტებისგან ამზადებენ. ეს ტრადიციული სასმელია იავასა და სუმატრას კუნძულებზე, მას განსაკუთრებული არომატი აქვს, საკმაოდ პოპულარულია დასავლეთშიც და ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სასმელია მსოფლიოში.



# ჰოროსკოპი
## 20 იანვარი

***ვერძი*** — ცვლილებები გელით პირად ურთიერთობებში. კეთილგონიერებას გამოიჩენთ და თავს შეიკავებთ სარისკო ნაბიჯის გადადგმისგან. ვერძი-მშობლები დღეს განსაკუთრებით ყურადღებით უნდა იყვნენ ბავშვების მიმართ, რადგან მათი დახმარება შეიძლება ნებისმიერ წუთს გახდეს საჭირო.

***კურო*** — ადვილად წამოიწყებთ რომანტიკულ ურთიერთობებს, მათ შორის, „დისტანციურსაც“. ადამიანები, რომელთაც არ სჯერათ „ვირტუალური სიყვარულის“, მზად არიან დაუშვან, რომ ასეთი რამ მაინც არსებობს.

***ტყუპები*** — სურვილი გაგიჩნდებათ, მონაწილეობა მიიღოთ საინტერესო ღონისძიებაში და მკვეთრი ემოციებით დაიტვირთოთ. პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და ასეთ სტაბილურობასაც აქვს თავისი პლუსი. სასიცოცხლო ენერგია საკმაოდ მაღალია.

***კირჩხიბი*** — ვარსკვლავები გირჩევენ, უარი თქვათ კომპრომისებზე, განსაკუთრებით, პრინციპულ საკითხებში, თუმცა, უბრალოდ, არდათანხმება ცოტაა — საკუთარი პოზიცია ახსენით და ეს ისე გააკეთეთ, თანამოსაუბრეს თქვენს სიმართლეში ეჭვი არ შეეპაროს.

***ლომი*** — თანდათან აგვარებთ დაგროვილ პრობლემებს. მოგეცემათ შანსი, რეალურად შეაფასოთ იმ პროექტების პერსპექტივები, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებთ. გააკეთეთ სწორი დასკვნები და შესაბამისი შესწორებები შეიტანეთ სამომავლო გეგმებში.

***ქალწული*** — თუ თქვენი მიზნები მნიშვნელოვანია, ამოცანები კი მასშტაბური, მაშინ იმოქმედეთ, რადგან სასიკეთო მომენტია გრანდიოზული ნაბიჯის გადასადგმელად. წვრილმან პრობლემებზე კი ყურადღებას ნუ გაამახვილებთ — ისინი თავისთავად მოგვარდება.

***სასწორი*** — წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ შეძლებთ, სწორად შეარჩიოთ შესაფერისი დრო და ადამიანების საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოთ. გაუთვალისწინებელმა მოვლენამ, შესაძლოა, ოჯახში სერიოზულ კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

***მორიელი*** — ბევრი საქმის გაკეთებას ვერ მოასწრებთ, რადგან ყურადღებას სხვა რამეზე გადაგატანინებენ და მოგაცდენენ, შესაძლოა, ამან გაგაღიზიანოთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ასე უკეთესიცაა, რადგან მნიშვნელოვან შეცდომას აიცილებთ თავიდან.

***მშვილდოსანი*** — ვარსკვლავები გპირდებიან, რომ თუ ოპტიმიზმს ცოტა ხნით მაინც დაივიწყებთ და არსებული რეალობისგან გაქცევას არ შეეცდებით, მომავალში გაგიადვილდებათ ნებისმიერი სურვილის რეალიზება.

***თხის რქა*** — სურვილი გაგიჩნდებათ, ყველაფერში პირველი იყოთ. შეგიძლიათ სცადოთ და ეს შექმნილი ვითარება თქვენს სასიკეთოდ შემოაბრუნოთ. ვარსკვლავები მხარდაჭერას გპირდებიან ნებისმიერ წამოწყებაში.

***მერწყული*** — თავის წარმოჩენის შანსი გეძლევათ — მრავალმხრივი ნიჭი გამოავლინეთ და ნუ შეგეშინდებათ ახალი წამოწყების, რაც უნდა რთული იყოს ის — ყველა სირთულეს თავს ადვილად გაართმევთ.

***თევზები*** — სასიკეთო დღეა, განსაკუთრებით, ისეთი საქმის წამოწყებისთვის, რაც შემოქმედებით მიდგომას და არასტანდარტულ აზროვნებას მოითხოვს.




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

# სიყვარული — ფსიქიკური დაავადება



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ სიყვარული ფსიქიკურ დაავადებათა სიაში ოფიციალურად უკვე შეიყვანა. ახალ „სენს“ საკუთარი ნომერიც აქვს — 63.9. მეცნიერები განმარტავენ, რომ სიყვარული ისეთივე დაავადებაა, როგორიც ალკოჰოლიზმი, ტოქსიკომანია და კლეპტომანია, მედიკოსთა მტკიცებით, მას სიმპტომებიც აქვს: ადამიანზე აკვიატებული ფიქრი, ხასიათის ხშირი ცვლა, საკუთარი თავის სიბრალული, უძილობა, იმპულსური ქცევა, არტერიული წნევის მატება, თავისტკივილი, ალერგიული რეაქცია და აკვიატებული იდეის სინდრომი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სპეციალისტებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ — ნაწილი მიიჩნევს, რომ სიყვარული მართლაც სენია, ნაწილი კი მათ არ ეთანხმება. აღსანიშნავია ისიც, რომ სიყვარულის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მედიკოსებისა და ფსიქოლოგების აზრი ორად იყოფა: ფსიქოლოგები ამბობენ, რომ სიყვარული მხოლოდ 18 თვეს გრძელდება, ექიმები კი ირწმუნებიან, რომ სიმპტომები, რომელსაც ადამიანი ამჟღავნებს, 4 წელიწადს მოიცავს.

# დიაგნოზს ჩიპით დასვამენ



მალე დიაგნოზის დასმა ადამიანის სხეულში ჩამონტაჟებული ჩიპით იქნება შესაძლებელი, რომელიც უკვე შექმნილია და მისი დახვეწა მიმდინარეობს — ჩიპი პაციენტის სხეულში კანქვეშ თავსდება, — ამბობს ორგანიზაცია Electronic Frontier-ის მთავარი სპეციალისტი პიტერ ეკერსლი და დასძენს, რომ მისი წყალობით, პიროვნების აქტივობის დონისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებას მიეწოდება. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ამ ხერხით ქრონიკულ დაავადებებს აღმოფხვრიან. ციფრული მოწყობილობა სამომხმარებლო ბაზარზე უახლოეს მომავალში გამოჩნდება.



# ჰოროსკოპი
## 21 იანვარი

***ვერძი*** — რაც მეტ ენთუზიაზმს გამოიჩენთ და რაც მეტად დაიცავთ საკუთარ პოზიციას, მით მალე მოაგვარებთ არსებულ პრობლემებს და წარმატების მეტი შანსი გექნებათ.

***კურო*** — თუ ზუსტად გაქვთ გათვლილი სამოქმედო გეგმა, საქმიანობის შედეგი წარმატებული იქნება. შეგიძლიათ, ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ. მეგობრებისა და ახლობლების რჩევები კი, პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, დროული და სასარგებლო იქნება.

***ტყუპები*** — დღე გონებრივი სამუშაოსთვისაა სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგს მიიღებთ მოვლენების ორომტრიალში თუ იოლად გაერკვევით. შეგიძლიათ, არა მხოლოდ გეგმების განხორციელების გზას მიაგნოთ, არამედ საქმესთან დაკავშირებით, სასარგებლო რჩევები მისცეთ ახლობლებსაც.

***კირჩხიბი*** — კარგი პერიოდია შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემომყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

***ლომი*** — სასიამოვნო საუბარი გელით მეგობრებთან ან ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის, ახლო ნაცნობებთან კი სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ — შესაძლოა, ინტუიციამ გიღალატოთ, ამიტომ ლოგიკასა და საღ აზრს ენდეთ.

***ქალწული*** — შეგიძლიათ შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ ყველაფერს და სიამოვნებით მოგისმენენ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ. საღამო კი, სჯობს, რომანტიკულ შეხვედრას დაუთმოთ.

***სასწორი*** — ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების გაფორმებას ან საკუთარ თავზე ვალდებულების აღებას — ეს ყველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, უკვე გვიან იყოს. ვარსკვლავები არც ძველი პროექტების წამოწევას გირჩევენ, რადგან ამ საქმით დაინტერესებული პირი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ფიქრობთ.

***მორიელი*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ, დაწყებული საქმე წარმატებით დაასრულონ, თუმცა არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით იმისთვის, რომ ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტებად მოგევლინებიან.

***მშვილდოსანი*** — საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ. დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ და ეჭვი არ გეპარებათ, რომ თქვენს მოსაზრებას ყურადღებას მიაქცევენ.

***თხის რქა*** — იმ საქმეებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით. შესაძლოა, ემოციები ვერ მოთოკოთ იმ ადამიანთან, რომელიც თქვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. გაჩნდება ახალი საფიქრალი და ახალი პროექტების დაწყების სურვილი. გაუზიარეთ აზრები გამოცდილ ადამიანს.

***მერწყული*** — თავის განებივრება შეგიძლიათ: ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას გპირდებიან. მხოლოდ ახლადგაცნობილ ადამიანებთან ფრთხილი იყავით — არის რისკი, რომ ზედმეტი წამოგცდებათ და ეს უსიამოვნებას მოგიტანთ.

***თევზები*** — პრაქტიკულად, ყველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. ალღოს წყალობით თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯსა და უპერსპექტივო დაბანდებას. არასასურველია კონტაქტები სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | 2 | |
| 2 | | | 7 | | 3 | 6 | | |
| 1 | 7 | | | | | | 5 | |
| 9 | | | | 4 | | 5 | | |
| | 5 | | | 3 | | | 8 | |
| | | 1 | | 6 | | | | 4 |
| | 3 | | | | | | 7 | 8 |
| | | 5 | 4 | | 6 | | | 9 |
| | 1 | | | 9 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | | | | 1 | | |
| 2 | 1 | 9 | 6 | | | | | |
| 8 | 7 | | | | 1 | | 9 | |
| 1 | | | | | 7 | | 3 | |
| 9 | | | | 4 | | | | 8 |
| | 3 | | 1 | | | | | 7 |
| | 6 | | 5 | | | | 8 | 9 |
| | | | | | 8 | 7 | 2 | 4 |
| | | 8 | | | | | 6 | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | 8 | | 3 | | |
| | | 9 | | | 1 | | 8 | 2 |
| | 3 | | 7 | | | | 1 | |
| | | | | 3 | | | | 7 |
| | | | 9 | | 6 | | | |
| 2 | | | | 4 | | | | |
| | 6 | | | | 7 | | 4 | |
| 9 | 5 | | 6 | | | 7 | | |
| | | 2 | | 9 | | | | 1 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | 9 | | 5 | | | 4 |
| 9 | | | | | | | | |
| | 5 | | 7 | 2 | | | 3 | |
| | 9 | 5 | | | 8 | | 1 | 7 |
| | | 3 | | | | 4 | | |
| 4 | 7 | | 6 | | | 3 | 9 | |
| | 4 | | | 7 | 3 | | 5 | |
| | | | | | | | | 6 |
| 5 | | | 1 | | 6 | | 7 | |

## საუკუნის გადაცილებულმა ტატუ გაიკეთა



ამერიკელმა ქალბატონმა, რომელსაც 103 წელი შეუსრულდა, დაბადების დღეზე თავს მეტად ორიგინალური საჩუქარი მიუძღვნა და ტატუ გაიკეთა. დილიდან შვილიშვილებთან ერთად გასართობად კაზინოში წავიდა, სადაც ბედმა გაუღიმა და მოიგო, მერე კაფეში წავიდნენ, იქიდან კი სალონში გაიარა ტატუს გასაკეთებლად — აღმოჩნდა, რომ ამის გაკეთება ამერიკელ ბებიას ჯერ კიდევ სამი წლის წინ, საუკუნოვან იუბილეზე უნდოდა, მაგრამ მაშინ ვერ გაბედა, ახლა კი ნატვრა აისრულა. მოხუცის შვილიშვილები ამბობენ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმამდე ბებია დერმატოლოგთან იყო, რომელმაც მოუწონა ჩანაფიქრი. ხანდაზმული ქალბატონი აცხადებს, რომ მთელი ცხოვრება ავანტიურიზმისკენ იყო მიდრეკილი, მომავალ იუბილეზე მხცოვანი ქალბატონი ლას-ვეგასის სტუმრობას და მამაკაცების სტრიპტიზ-შოუზე დასწრებას გეგმავს.

## ლიბანში ძვირფასი საპონი დაამზადეს



ამ უძვირფასესი ჰიგიენური საშუალების 160-გრამიანი ნაჭერი 2800 დოლარი ღირს და, ერთი შეხედვით, არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ლიბანური ზეითუნის საპნისგან, თუმცა ალმასისა და ოქროს პუდრას შეიცავს და ერთ-ერთი ადგილობრივი მეწარმის ოჯახურ ლაბორატორიაში მზადდება. აღსანიშნავია, რომ ეს ოჯახი უკვე 500 წელია ამ საქმითაა დაკავებული — ბიზნესი სათავეს 1480 წლიდან იღებს და მას შემდეგ წარმოების საიდუმლო თაობიდან თაობას გადაეცემა. საპნის მწარმოებელი ამტკიცებს, რომ მიუხედავად მყარი ნაწილაკების შემცველობისა საპონში, ის კანისთვის მეტად სასარგებლოა. გარდა ძვირფასი შემადგენლობისა, ჰიგიენური საშუალება მცენარეულ ექსტრაქტსა და ეთერზეთებს შეიცავს. როგორც ამბობენ, ძვირფასი საპონი მსოფლიო საზოგადოების თვალში ლიბანის იმიჯის ასამაღლებლად მოიფიქრეს — ცოტა ხნის წინ დოჰაში გამართულ ფუფუნების საგნების გამოფენაზე ეს საპონი ნამდვილ სენსაციად იქცა.

## ანჯელინას პრეზიდენტობა სურს?




ცნობილი მსახიობი და მრავალშვილიანი დედა აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას გეგმავს, — იუწყება ამერიკული მედია. 38 წლის ვარსკვლავი სისტემატურად სტუმრობს სხვადასხვა სამიტს და ხვდება პოლიტიკოსებს, გაერო-ს კეთილი ნების ელჩის რანგშიც განაგრძობს მუშაობას და არ ცვლის ულტიმატუმს — არავითარი ქორწინება ბრედ პიტთან, ვიდრე აშშ-ში ერთსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდება. მიუხედავად მსახიობის პოპულარობისა და საზოგადოებაში მის მიმართ არსებული პატივისცემისა, თეთრ სახლში ბევრი არ სწყალობს. ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავს და შეხვედრას ყოველთვის ერიდება — ერთ-ერთ საზეიმო ვახშამზე, სადაც ქვეყნის პოლიტიკური ელიტა იყო თავმოყრილი, ჯოლიმ ჰილარისთან აუდიენცია ითხოვა, თუმცა უარი მიიღო.



## კუბელებს მანქანის თავისუფლად ყიდვა შეეძლებათ

„თავისუფლების კუნძულის“ მცხოვრებლებს, პირველად, 1959 წლის შემდეგ, ნება დართეს, თავისუფლად შეიძინონ ავტომობილები. ექსპერტები კი შიშობენ, რომ ღია ცისქვეშ მდებარე ეს ლეგენდარული საავტომობილო „მუზეუმი“, რომელსაც ამჟამად კუბა წარმოადგენს, უკვე წარსულის ნაწილი გახდება. ამ დრომდე ახალი მანქანის შეძენისთვის მსურველს მხოლოდ ფული კი არა, მთავრობის ნებართვაც სჭირდებოდა. იყიდებოდა მხოლოდ ნახმარი ამერიკული ავტომობილები, რომლებიც ჯერ კიდევ ფიდელ კასტროს ხელისუფლებაში მოსვლამდე დადიოდა, შედეგად ჰავანასა და კუბის ქუჩები სავსე იყო „ფორდებით“, „პონტიაკებით“, „შევროლეებით“, რომელთაც დღეს აშშ-ში ვერც კი იპოვით.

## წინა ნომერში გასული სკანვორდის პასუხები

მე-13 გვერდი: 1. აქსელერაცია; 2. დედვეიტი; 3. უძო; 4. პარემიოგრაფია; 5. ამფორა; 6. ეკლერი; 7. ქსენძი; 8. ივდითი; 9. რახილი; 10. ურარტუ; 11. აცეტონი; 12. ტორტი; 13. არვე; 14. ეშვი; 15. ულანი; 16. დირე; 17. „ლაციო“; 18. ალია; 19. ტირი; 20. თითა; 21. ბალუ; 22. ბატატი; 23. ლილო; 24. ცერეცო; 25. ილი; 26. ცხენი; 27. ილი; 28. „რეალი“; 29. ეტი; 30. ლოლუა; 31. იონი; 32. რეგატა; 33. კოლი; 34. ანოდი; 35. ტიარა; 36. რაინდი; 37. ნარმა; 38. ნობელი; 39. ტატუ; 40. მიტელშპილი; 41. მადლი; 42. ასესორი; 43. ობივატელი; 44. ამალგამა; 45. ანოა; 46. მარაო; 47. მიმინო; 48. მესა; 49. საკე; 50. ხბო; 51. მაქს; 52. ანეტო; 53. სიდრი; 54. იბისი; 55. ტაიბეი; 56. ბოლიდი; 57. ევრო; 58. კოქტო; 59. ტიკი; 60. მონა; 61. ბასა; 62. ალი; 63. ლოტი; 64. მარად; 65. აბიო; 66. სორო; 67. სეტი; 68. ლიონ; 69. კენია; 70. რაი; 71. როქი; 72. ელი; 73. გრაცე; 74. „ნაიკი; 75. ილტო; 76. პლანშე; 77. არამისი; 78. კიმ; 79. ქუდი; 80. მაატი; 81. კაშალოტი; 82. კლიშე; 83. სვია; 84. ლევილი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# „საქართველო გასტროლებზე“ ანუ „როგორ შეიყვარა მთელმა მსოფლიომ ქართული ცეკვა“

**თორნიკე ზაბახიძე ერთ-ერთი ნიჭიერი ქართველი მოცეკვავეა საქართველოში, რომელმაც ქართული ცეკვა ახალ საფეხურზე აიყვანა. ეს ახალგაზრდა არტისტი ყოველდღე ჩუქნის მაყურებელს ქართული ცეკვის ხიბლსა და ვნებას მთელ მსოფლიოში, რადგან მუშაობს Cirque du Soleil-ში, მსოფლიოში საუკეთესო საცირკო წარმოდგენების კომპანიაში.**



Cirque du Soleil კანადური კომპანიაა, რომელიც გასართობ სფეროში მოღვაწეობს და თავის საქმიანობას განმარტავს, როგორც „საცირკო სანახაობისა და ქუჩის წარმოდგენის მხატვრულ შერწყმას“. კომპანია დაარსდა 1984 წელს გი ლიბერტისა და ჟილემ სენტ-კურის მიერ. მთავარი ოფისი წარმოდგენილია კანადაში, ქალაქ მონრეალში.

„მზის ცირკი“ მოითვლის 4 000-ზე მეტ თანამშრომელს, რომლებიც რამოდენიმე ჯგუფად მუშაობენ, რაც, თავის მხრივ, კომპანიას საშუალებას აძლევს, ერთდროულად გამართოს წარმოდგენები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული საცირკო წარმოდგენები მეტად სანახაობრივია, რომელთა დადგმა ხდება დროებით არენებზე (შაპიტო), მუდმივ საცირკო არენებსა და ასევე თეატრალურ სცენებზეც.

ეს ისტორია დაიწყო მაშინ, როდესაც ქართული ახალგაზრდული ცეკვის ანსამბლმა „სიხარულმა“ მსოფლიოს აჩუქა ნიჭიერი და მიზანდასახული მოცეკვავე თორნიკე ზაბახიძე. სწორედ ამ ანსამბლის შემადგენლობაში, გასტროლებზე შეასრულა მან თავისი პირველი ქართული ეროვნული ცეკვა, ევროპელი პუბლიკის წინაშე. ამ დროიდან მოყოლებული დაიწყო თორნიკემ მსოფლიოსთვის ქართული ეროვნული ცეკვის გაცნობა. იგი შეუჩერებლად ვარჯიშობდა და არ ზოგავდა დროსა



და ძალას, რადგან მხოლოდ ცეკვა ამოძრავებდა.

ასეთი შრომისა და ნიჭის წყალობით, მოცეკვავემ თავის საქმეში ნამდვილი წარმატებების მიღწევა დაიწყო.

კარიერის დასაწყისშივე, თორნიკე გასტროლებზე მრავალ ქვეყანაში იყო მიწვეული. სტუდენტობის დროს, ის გამოდიოდა მრავალ საერთაშორისო ფესტივალზე და ცეკვავდა ისეთ სცენებზე, როგორიცაა დიდი თეატრი და კრემლის სასახლე მოსკოვში; თორნიკე იყო წამყვანი სოლისტი საქართველოს მთავარ ანსამბლებში, მრავალი წლის განმავლობაში იგი წარმოაჩენდა ცეკვის თავისებურ, უნიკალურ სტილს, ტრიუკების შესრულების გრაციოზულობას, მოძრაობის ელეგანტურობასა და დინამიურობას.

2002 წელს, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, თორნიკე მიიღეს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ ანსამბლში — საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „ერისიონში“, სადაც წამყვანი სოლისტის პოზიცია ეკავა. აღნიშნული სახელმწიფო ანსამბლი 128 წლისაა და მისი საკონცერტო რეპერტუარი სრულად წარმოაჩენს საქართველოს განსხვავებული კუთხეების მიხედვით.

„ერისიონთან“ ერთად თორნიკემ საგასტროლო ტურნეებით მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა.

მოგვიანებით, 2007 წელს, თორნიკე სხვა ტიტულოვანი ანსამბლის სოლისტი გახდა, ეს იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი“. აღნიშნული ანსამბლი ასევე ცნობილია მსოფლიოში და გასტროლებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოდის. დატვირთული საგასტროლო გრაფიკის მიუხედავად, თორნიკე ახერხებდა ქართული ცეკვის სწავლებას საბავშვო და ახალგაზრდულ საცეკვაო ანსამბლებში და აძლევდა მასტერ-კლასებს სხვა მოცეკვავეებს.

ერთი წლის შემდეგ კი, თორნიკე ზაბახიძე ავიდა ახალ საფეხურზე და Cirque du Soleil-სგან მიიღო პირველი კონტრაქტი ე.წ. Special event-ზე, რომელიც აზიაში ერთ-ერთი სასტუმროს საზეიმო გახსნას ეძღვნებოდა; ოდნავ მოგვიანებით კი, თორნიკე კვლავ მიიწვიეს კიდევ ერთ Special event-ზე — The General Motor Corporation-ის ღონისძიებაზე გერმანიაში. ამ ამბის დასრულებისთანავე კი თორნიკემ მიიღო მუდმივი კონტრაქტი ცირკისგან და გახდა შოუ Varekai-ს ნაწილი

დღეს თორნიკე ზაბახიძე Cirque du Soleil-ის შოუ Varekai-ს წამყვანი მოცეკვავე სოლისტია. ეს შოუ უკვე მრავალი წელია ტურნეთი მოგზაურობს მსოფლიოს გარშემო. ეს უდავოდ დიდი მიღწევაა ნებისმიერო მოცეკვავისთვის — როდესაც რამდენიმე ათასი კანდიდატიდან შეგარჩევს მსოფლიოში უდიდესი და ყველაზე ცნობილი საცირკო წარმოდგენის კომპანია. უფრო მეტიც — თორნიკე ხშირად მონაწილეობს Cirque du Soleil-ის შოუებში, სადემონსტრაციო წარმოდგენებში, Special event-ებზე, ინტერვიუებზე. ეს ღონისძიებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აყალიბებს ცირკის რეპუტაციას იმ ქვეყნებსა და ქალაქებში, რომლებშიც შოუს Varekai ჯერ კიდევ არ იცნობს მაყურებელი. რა თქმა უნდა, ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენს ეროვნულ ცეკვას, საერთაშორისო სცენაზე წარმოადგენს თორნიკე ზაბახიძე თავის პროფესიონალიზმითა და შესრულების უმაღლესი დონით.

თორნიკე ზაბახიძემ უკვე დიდ წარმატებას მიაღწია, თუმცა გაჩერებას არ აპირებს. ამ ახალგაზრდა და ამბიციურ არტისტს ბევრი სამომავლო გეგმა აქვს, როგორიცაა, მაგალითად, საზღვარგარეთ საკუთარი საცეკვაო კომპანიის დაარსება, ასევე, შესაძლოა, ცეკვის საკუთარი სკოლის გახსნაც, სადაც შეძლებს, შექმნას ცეკვის ახალი სტილი და გადასცეს თავის გამოცდილება ახალ ტალანტებს

ცეკვა — ერთ-ერთი მთავარი ელემენტია ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურისა. ქართული ცეკვა უნიკალურია, მსგავსი ელემენტები არ გვხვდება ცეკვის არც ერთ სხვა სტილში. ქართულ ცეკვას ბავშვობიდან სწავლობენ, რათა სრულად აითვისონ შესრულების ტექნიკა და იპოვონ შესრულების საკუთარი სტილი.

რა თქმა უნდა, საქართველოში მრავლადაა საცეკვაო დასი და კომპანია — მსხვილი ეროვნული ანსამბლები და კერძო დასები, როგორც პროფესიონალების, ასევე მოყვარულებისათვის, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ხელოვნების სხვა ნებისმიერ დარგში, ქართულ ცეკვაშიც არც ისე ბევრია გამორჩეული მოცეკვავე.

თორნიკე ზაბახიძე — ახალგაზრდა, მაგრამ უდავოდ გამორჩეული მოცეკვავეა. 28 წლის ასაკში მან უკვე აჩვენა თავის ხელოვნება მილიონობით მაყურებელს მთელ მსოფლიოში. იგი ფლობს ცეკვის განსაკუთრებულ ტექნიკას, შექმნა საკუთარი სტილი, საკუთარი ელემენტები, მოძრაობები და, რაც მთავარია, ტრიუკები. აერთიანებს რა რამოდენიმე ტრიუკს ერთად, თორნიკე წარმოაჩენს ცეკვის შესრულების უმაღლეს დონეს. ის ასრულებს როგორც ჯგუფურ ცეკვებს, ასევე, რაღა თქმა უნდა, სოლონომრებსაც, ამასთან ყოველთვის აოცებს პუბლიკას თავის მოძრაობებითა და დაუჯერებელი უნარებით.

ჩვენ ნამდვილად ვამაყობთ, რომ თორნიკე ზაბახიძე წარმოადგენს ქართულ ეროვნულ ცეკვებს მთელ მსოფლიოში.


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**



ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.